# ჯგუფი ბანკი ქართუ

**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება**
2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული
წლისათვის

# ჯგუფი ბანკი ქართუ

## სარჩევი


| | გვერდი |
|---|---|
| ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე | 1 |
| დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა | 2-3 |
| კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის: | |
| მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების კონსოლიდირებული ანგარიში | 4 |
| ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიში | 5 |
| კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიში | 6 |
| ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიში | 7-8 |
| კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები | 9-67 |

## ჯგუფი ბანკი ქართუ

**ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის**

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს დახურული სააქციო საზოგადოება ბანკი ქართუს („ბანკი") და მისი შვილობილი კომპანიების („ჯგუფი") ფინანსურ მდგომარეობას 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების კონსოლიდირებულ შედეგებს, კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებულ ანგარიშს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს") შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;
- ჯგუფის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ჯგუფში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის ჯგუფის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- ჯგუფის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ჯგუფის დირექტორთა საბჭოს მიერ დამტკიცებულია გამოსაშვებად 2014 წლის 29 აპრილს.

**დირექტორთა საბჭოს სახელით:**

| | |
|---|---|
| **გენერალური დირექტორი** | **მთავარი ბუღალტერი** |
| **ნოდარ ჯავახიშვილი** | **მანანა ნადირაძე** |
| 29 აპრილი, 2014 | 29 აპრილი, 2014 |
| თბილისი, საქართველო | თბილისი, საქართველო |

**დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა**

სააქციო საზოგადოება ბანკი ქართუს აქციონერებსა და დირექტორთა საბჭოს:

**დასკვნა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ**

ჩვენ ჩავატარეთ დახურული სააქციო საზოგადოება ბანკი ქართუს და მისი შვილობილი კომპანიების („ჯგუფი") თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მასთან დაკავშირებული სრული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებულ ანგარიშებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის და ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითად პრინციპებსა და სხვა ახსნა-განმარტებითი შენიშვნებს.

**ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე**

ჯგუფის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და შიდა კონტროლის სისტემის უზრუნველყოფაზე, რომელიც ხელმძღვანელობის მიერ მიიჩნევა აუცილებლად ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

**აუდიტორის პასუხისმგებლობა**

ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოვთქვათ მოსაზრება ამ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ ჩვენი სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ უტყუარი რწმუნება იმისა, რომ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას.

აუდიტი მოიცავს გარკვეული პროცედურების ჩატარებას კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებსა და განმარტებებზე აუდიტორული მტკიცებულების მოსაპოვებლად. შერჩეული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე, რომელიც მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოქმნილი არსებითი უზუსტობის რისკის შეფასებას. ამ რისკების შეფასებისას არსებული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების შემუშავებისთვის, მაგრამ არა ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე დასკვნის გაკეთების მიზნით, აუდიტორი ითვალისწინებს შიდა კონტროლის სისტემებს, რომლებიც საჭიროა საწარმოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და რეალური წარდგენისათვის. აუდიტი ასევე ითვალისწინებს გამოყენებული ბუღალტრული პოლიტიკისა და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული დაშვებების შესაფერისობისა და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას მთლიანობაში.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მტკიცებულებები, რომლებიც აუდიტის მსვლელობისას მოვიპოვეთ აუდიტის დასკვნისათვის საკმარის და მართებულ საფუძველს წარმოადგენს.

**დასკვნა**

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი კონსოლიდირებული საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

29 აპრილი, 2014
თბილისი, საქართველო

## მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების კონსოლიდირებული ანგარიში 2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

*(ათასობით ლარში)*

| | შენიშვნა | 2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის | 2012 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის |
|---|---|---|---|
| საპროცენტო შემოსავალი | 5, 27 | 69,362 | 37,912 |
| საპროცენტო ხარჯი | 5, 27 | (10,579) | (8,609) |
| წმინდა საპროცენტო შემოსავალი საპროცენტო შემოსავლის მქონე აქტივებზე გაუფასურების დანაკარგების რეზერვის ხარჯის აღდგენამდე | | 58,783 | 29,303 |
| საპროცენტო შემოსავლის მქონე აქტივებზე გაუფასურების დანაკარგების რეზერვის ხარჯის აღდგენა | 6, 27 | 39,218 | 2,907 |
| წმინდა საპროცენტო შემოსავალი | | 98,001 | 32,210 |
| წმინდა მოგება/)ზარალი) მოგებასა და ზარალში სამართლიანი ღირებულებით აღიარებულ ფინანსურ აქტივებზე | 7 | 11,775 | (1,085) |
| წმინდა მოგება უცხოური ვალუტით განხორციელებულ ოპერაციებზე | 8 | 4,087 | 2,309 |
| საკომისიო შემოსავალი | 9, 27 | 3,903 | 3,286 |
| საკომისიო ხარჯი | 9 | (3,514) | (2,456) |
| გარანტიებისა და სხვა ოპერაციების რეზერვის (ხარჯი)/ხარჯის აღდგენა | 6 | (3,627) | 56 |
| სხვა შემოსავალი/(ხარჯი) | 10 | 715 | (1,123) |
| წმინდა არასაპროცენტო შემოსავალი | | 13,339 | 987 |
| საოპერაციო შემოსავალი | | 111,340 | 33,197 |
| საოპერაციო ხარჯები | 11, 27 | (26,737) | (17,839) |
| მოგება მოგების გადასახადამდე | | 84.603 | 15,358 |
| მოგების გადასახადის ხარჯი | 12 | (13,402) | (2,338) |
| **წლის წმინდა მოგება** | | **71,201** | **13,020** |
| სხვა სრული შემოსავლები | | - | - |
| **სულ სრული შემოსავლები** | | **72,201** | **13,020** |
| განეკუთვნება: | | | |
| ბანკის აქციონერებს | | 71,658 | 13,820 |
| უმცირესობის წილს | | (457) | (800) |
| | | **71,201** | **13,020** |

**დირექტორთა საბჭოს სახელით:**

**გენერალური დირექტორი**
**ნოდარ ჯავახიშვილი**

29 აპრილი, 2014
თბილისი, საქართველო

**მთავარი ბუღალტერი**
**მანანა ნადირაძე**

29 აპრილი, 2014
თბილისი, საქართველო

9-67 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

## ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიში
## 2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
*(ათასობით ლარში)*

| | შენიშვნა | დეკემბერი 31, 2013 | დეკემბერი 31, 2012 |
|---|---|---|---|
| **აქტივები:** | | | |
| ფული და ნაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკში | 13 | 37,786 | 16,690 |
| მოგებასა და ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები | 14 | 23,785 | 10,845 |
| მოთხოვნები ბანკების მიმართ | 15 | 79,221 | 68,940 |
| კლიენტებზე გაცემული სესხები | 16, 27 | 396,297 | 262,148 |
| გასაყიდად არსებული ინვესტიციები | | 60 | 391 |
| დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები | 17 | 5,946 | - |
| ძირითადი საშუალებები | 18 | 11,940 | 11,950 |
| მიმდინარე მოგების გადასახადის აქტივები | | - | 636 |
| გადავადებული მოგების გადასახადის აქტივები | 12 | 249 | 9,429 |
| სხვა აქტივები | 19 | 39,100 | 36,470 |
| **სულ აქტივები** | | **594,384** | **417,499** |
| **ვალდებულებები და კაპიტალი** | | | |
| **ვალდებულებები:** | | | |
| ვალდებულებები ბანკების მიმართ | 20 | 32,256 | 7,614 |
| კლიენტების ანგარიშები | 21, 27 | 176,786 | 66,623 |
| სხვა ნასესხები თანხები | 24 | - | 40,040 |
| რეზერვები | 6, 27 | 397 | 328 |
| მოგების გადასახადის მიმდინარე ვალდებულება | | 356 | - |
| სხვა ვალდებულებები | 22 | 2,128 | 2,743 |
| გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები | 12 | 3,176 | |
| სუბორდინირებული სესხები | 23, 27 | 100,976 | 120,013 |
| **სულ ვალდებულებები** | | **316,075** | **237,361** |
| **კაპიტალი:** | | | |
| ბანკის აქციონერებზე განაწილებული კაპიტალი: | | | |
| სააქციო კაპიტალი | 25 | 114,430 | 92,850 |
| დამატებით შეტანილი კაპიტალი | | 30,206 | 24,816 |
| გაუნაწილებელი მოგება | | 133,569 | 61,834 |
| სულ ბანკის აქციონერებზე განაწილებული კაპიტალი | | 278,205 | 179,500 |
| უმცირესობის წილი | | 104 | 638 |
| **სულ კაპიტალი** | | **278,309** | **180,138** |
| **სულ ვალდებულებები და კაპიტალი** | | **594,384** | **417,499** |

**დირექტორთა საბჭოს სახელით:**

| | |
|---|---|
| **გენერალური დირექტორი** | **მთავარი ბუღალტერი** |
| **ნოდარ ჯავახიშვილი** | **მანანა ნადირაძე** |
| 29 აპრილი, 2014 | 29 აპრილი, 2014 |
| თბილისი, საქართველო | თბილისი, საქართველო |

9-67 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

## კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიში
## 2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
*(ათასობით ლარში)*

| | შენიშვნა | სააქციო კაპიტალი | დამატებით შეტანილი კაპიტალი | გაუნაწილებელი მოგება | სულ ბანკის აქციონერებზე განაწილებული კაპიტალი | უმცირესობის წილი | სულ კაპიტალი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იანვარი 1, 2012** | | 81,196 | 24,816 | 48,014 | 154,026 | 1,438 | 155,464 |
| აქციების გამოშვება | 25 | 11,654 | - | - | 11,654 | - | 11,654 |
| სულ წლის სრული შემოსავალი | 23 | - | - | 13,820 | 13,820 | (800) | 13,020 |
| **დეკემბერი 31, 2012** | | **92,850** | **24,816** | **61,834** | **179,500** | **638** | **180,138** |
| სულ წლის სრული შემოსავალი | | - | - | 71,658 | 71,658 | (457) | 71,201 |
| არასაკონტროლო წილის შესყიდვა | | - | - | 77 | 77 | (77) | - |
| ნაერთი ფინანსური ინსტრუმენტის განცალკევება თავდაპირველი აღიარებისას | 23 | | 5,390 | - | 5,390 | - | 5,390 |
| აქციების გამოშვება | 25 | 21,580 | | | 21,580 | | 21,580 |
| **დეკემბერი 31, 2013** | | **114,430** | **30,206** | **133,569** | **278,205** | **104** | **278,309** |

**დირექტორთა საბჭოს სახელით:**

**გენერალური დირექტორი**
**ნოდარ ჯავახიშვილი**

29 აპრილი, 2014
თბილისი, საქართველო

**მთავარი ბუღალტერი**
**მანანა ნადირაძე**

29 აპრილი, 2014
თბილისი, საქართველო

9-67 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

# ჯგუფი ბანკი ქართუ

## ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიში
## 2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
*(ათასობით ლარში)*

| | შენიშვნა | 2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის | 2012 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის |
|---|---|---|---|
| **ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან:** | | | |
| მოგება/ზარალი მოგების გადასახადამდე: | | 84,834 | 15,358 |
| კორექტირებები: | | | |
| რეზერვის აღდგენასაპროცენტო შემოსავლის მქონე აქტივებზე | 6 | (39,218) | (2,907) |
| გარანტიებისა და სხვა ოპერაციების რეზერვის ხარჯი / (აღდგენა) | 6 | 3,627 | (56) |
| წმინდა ზარალი უცხოური ვალუტით განხორციელებულ ოპერაციებზე | 8 | (1,173) | (209) |
| ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი | 11 | 1,572 | 1,527 |
| წმინდა დარიცხული პროცენტის ცვლილება | | 17,104 | 398 |
| დასაკუთრებული და ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებული მოგება | | (841) | (220) |
| წმინდა (მოგება)/ზარალი მოგებასა და ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივებით განხორციელებულ ოპერაციებზე | 7 | (11,775) | 1,085 |
| ფულადი სახსრების (გადინება)/შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე | | 53,899 | 14,976 |
| ცვლილებები საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში | | | |
| ზრდა/(კლება) საოპერაციო აქტივებში: | | | |
| მინიმალური სავალდებულო დეპოზიტი საქართველოს ეროვნულ ბანკში | 13 | (14,225) | 4,459 |
| მოთხოვნები ბანკების მიმართ | | (4,250) | (6,069) |
| კლიენტებზე გაცემული სესხები | | (108,587) | (4,007) |
| სხვა აქტივები | | 2,247 | (2,504) |
| ზრდა/(კლება) საოპერაციო ვალდებულებებში: | | | |
| ვალდებულებები ბანკების მიმართ | | 24,759 | (18,384) |
| კლიენტების ანგარიშები | | 108,742 | (10,559) |
| სხვა ვალდებულებები | | (616) | 1,945 |
| ფულადი სახსრების შემოდინება/(გადინება) საოპერაციო საქმიანობიდან, გადასახადამდე | | 61,969 | (20,143) |
| გადახდილი მოგების გადასახადი | | - | - |
| წმინდა ფულადი სახსრების შემოდინება/(გადინება) საოპერაციო საქმიანობიდან | | 61,969 | (20,143) |

## ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიში
## 2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)
*(ათასობით ლარში)*

| | შენიშვნა | 2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის | 2012 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის |
|---|---|---|---|
| **ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან:** | | | |
| ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შესყიდვა | 18;19 | (1,721) | (1,386) |
| შემოსავალი ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების რეალიზაციიდან | | 9 | 196 |
| შემოსავალი მოგებასა და ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ინვესტიციებიდან | | (1,166) | 4,634 |
| დასაკუთრებული ქონების რეალიზაციით მიღებული შემოსავალი | | 1,486 | 518 |
| დასაკუთრებული ქონებების შეძენა | | (8,890) | (3,453) |
| გასაყიდად არსებული ინვესტიციების შესყიდვა | | 331 | (69) |
| შემოსავალი დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციების რეალიზაციიდან | | (5,946) | 6,414 |
| წმინდა ფულადი სახსრების (გადინება)/შემოდინება საინვესტიციო საქმიანობიდან | | (15,897) | 6,854 |
| **ფულადი სახსრების მოძრაობა საფინანსო საქმიანობიდან:** | | | |
| აქციების გამოშვებიდან მიღებული შემოსავალი | 25 | 21,580 | 11,654 |
| სუბორდინირებული სესხიდან მიღებული შემოსავალი | 23 | 19,083 | - |
| სუბორდინირებული სესხის გადახდა | 23 | (38,120) | (6,956) |
| სხვა ნასესხები თანხის გადახდა | 24 | (40,039) | |
| სხვა ნასესხები თანხები | 24 | - | 40,000 |
| წმინდა ფულადი სახსრების (გადინება)/შემოდინება საფინანსო საქმიანობიდან | | (37,496) | 44,698 |
| *ფულსა და ფულის ექვივალენტებზე უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი* | | 4,325 | (1,779) |
| წმინდა ზრდა/(კლება) ფულსა და ფულის ექვივალენტებში | | 8,576 | 31,409 |
| ფული და ფულის ექვივალენტები, წლის დასაწყისში | 13 | 73,140 | 43,510 |
| ფული და ფულის ექვივალენტები, წლის ბოლოს | 13 | 86,041 | 73,140 |

ჯგუფის მიერ 2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის გადახდილმა და მიღებულმა საპროცენტო შემოსავალმა შეადგინა 7,204 ათასი და 52,293 ათასი ლარი, შესაბამისად.

ჯგუფის მიერ 2012 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის გადახდილმა და მიღებულმა საპროცენტო შემოსავალმა შეადგინა 9,103 ათასი და 28,455 ათასი ლარი, შესაბამისად.

**დირექტორთა საბჭოს სახელით:**

**გენერალური დირექტორი**
**ნოდარ ჯავახიშვილი**

29 აპრილი, 2014
თბილისი, საქართველო

**მთავარი ბუღალტერი**
**მანანა ნადირაძე**

29 აპრილი, 2014
თბილისი, საქართველო

9-67 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

## 1. ორგანიზაცია

დახურული სააქციო საზოგადოება "ბანკი ქართუ" (შემდგომში "ბანკი") არის სააქციო საზოგადოება, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში 1996 წელს. ბანკის საქმიანობას არეგულირებს საქართველოს ეროვნული ბანკი ("სებ"). ბანკი საკუთარ საქმიანობას ახორციელებს №229 გენერალური ლიცენზიის საფუძველზე. ბანკის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს კომერციული საქმიანობა, სესხების და გარანტიების გაცემა, ოპერაციები ფასიანი ქაღალდებით, უცხოური ვალუტით, აგრეთვე დეპოზიტებით სარგებლობა.

ბანკის რეგისტრირებული ოფისი მდებარეობს შემდეგ მისამართზე: საქართველო, თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 39ა.

2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკს გააჩნია ხუთი სერვის ცენტრი თბილისში, აგრეთვე თითო სერვის ცენტრი გორში, თელავში, საჩხერეში, ქუთაისსა და ბათუმში.

ბანკი წარმოადგენს საბანკო ჯგუფის (შემდგომში "ჯგუფი") დამფუძნებელ კომპანიას, რომელსაც გააჩნია ფინანსურ ანგარიშგებაში კონსოლიდირებული შემდეგი შვილობილი კომპანიები:

| სახელწოდება | საქმიანობის ქვეყანა | ბანკის მფლობელობის საპროცენტო წილი (%) 2013 | 2012 | საქმიანობის ტიპი |
|---|---|---|---|---|
| შპს საბროკერო კომპანია "ქართუ ბროკერი" | საქართველო | 100.00% | 100.00% | საბროკერო |
| სს "სმს" | საქართველო | 100.00% | 100.00% | უძრავი ქონება |
| შპს "დაზღვევის კომპანია ქართუ" | საქართველო | 82.27% | 69.00% | დაზღვევა |

სადაზღვევო კომპანია შპს ქართუ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ჩამოყალიბდა 2001 წლის 13 სექტემბერს როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანიის ძირითად ბიზნეს საქმიანობას წარმოადგენს დაზღვევა, ძირითადად ჯანმრთელობის დაზღვევა.

2013 და 2012 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით სს ქართუ ჯგუფი (საქართველო) ფლობდა ბანკის აქციების 100 პროცენტს.

უტა ივანიშვილი არის ძირითადი აქციონერი, რომელიც აკონტროლებს ჯგუფის ოპერაციებს.

მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ჯგუფის დირექტორთა საბჭოს მიერ ხელმოწერილ იქნა გამოსაშვებად 2014 წლის აპრილში.

## 2. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა

### ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (“ბასსს”) მიერ დამტკიცებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა (“ფასს”) და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის (“ფაისკ”) მიერ გამოცემული ინტერპრეტაციების შესაბამისად.

### წარდგენის კრიტერიუმის სხვა საფუძვლები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმის გათვალისწინებით, რომ ჯგუფი წარმოადგენს ფუნქციონირებად საწარმოს და ახლო მომავალში გააგრძელებს მუშაობას. კომპანიამ დაარღვია ფინანსური კოეფიციენტი, მაგრამ ამ გარემოებას არ შეუქმნია ლიკვიდობის საფრთხე, როგორც აღნიშნულია 20-ე შენიშვნაში. ხელმძღვანელობასა და აქციონერებს გადაწყვეტილი აქვთ განავითარონ ჯგუფის ბიზნესი საქართველოში როგორც მცირე, ასევე მსხვილ ბიზნეს სეგმენტში. ჯგუფის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი მართებულია ჯგუფისათვის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტიდან გამომდინარე და მოკლევადიან ვალდებულებებთან მიმართებაში არსებული ისტორიული გამოცდილების გათვალისწინებით, რომლებიც დამატებით დაფინანსდება ჩვეული საქმიანობის პროცესში.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათასობით ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების კონცეფციის საფუძველზე, გარდა რეალური ღირებულებით შეფასებული გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტებისა და გირაოში დარჩენილი ქონებისა, რომელიც განმარტებულია ქვემოთ მოცემულ პოლიტიკებში. ისტორიული ღირებულება ზოგადად ეფუძნება აქტივების სანაცვლოდ გადახდილი ანაზღაურების რეალურ ღირებულებას.

ჯგუფი კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს წარადგენს ლიკვიდობის მიხედვით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშის თარიღიდან 12 თვის განმავლობაში (მიმდინარე) ან 12 თვეზე მეტი დროის განმავლობაში (გრძელვადიანი) აღდგენის ან ანგარიშსწორების ანალიზი წარმოდგენილია 30-ე შენიშვნაში.

### ფუნქციონალური ვალუტა

ჯგუფის ყველა კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ელემენტების საზომ ვალუტას წარმოადგენს ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ეკონომიკურ გარემოში, სადაც კომპანია ახორციელებს საქმიანობას (“ფუნქციონალური ვალუტა”). ჯგუფის ფუნქციონალური ვალუტაა ქართული ლარი. ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საპრეზენტაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. ღირებულებები დამრგვალებულია უახლოეს ათასებამდე ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

### გაქვითვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები იქვითება და წმინდა თანხით აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფს აქვს იურიდიული უფლება განახორციელოს აღიარებული თანხების გაქვითვა და განზრახული აქვს მოახდინოს აქტივის ჩათვლა წმინდა ღირებულებით ან ერთდროულად მოახდინოს აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა.

ჯგუფი მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების კონსოლიდირებულ ანგარიშში არ ქვითავს შემოსავლებსა და ხარჯებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გაქვითვა მოითხოვება რომელიმე სტანდარტით ან ინტერპრეტაციით, ან ჯგუფის ბუღალტრული პოლიტიკით.

ქვემოთ წარმოდგენილია ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკები.

**კონსოლიდაციის საფუძველი**

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ბანკისა და მის მიერ კონტროლირებადი საწარმოების (მათ შორის სტრუქტურირებული საწარმოების), ასევე მისი შვილობილი კომპანიების ფინანსურ ანგარიშგებებს. კონტროლი ხორციელდება, როდესაც

- ბანკს გააჩნია ძალაუფლება ინვესტირების ობიექტზე;
- ბანკს ეძლევა ან აქვს უფლება, მოითხოვოს ინვესტირების ობიექტთან საქმიანი ურთიერთობის შედეგად მიღებული შემოსავლებზე; და
- ბანკს შეუძლია მის ხელთ არსებული ძალაუფლება გამოიყენოს შემოსავლებზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით.

ბანკი ინვესტირების ობიექტზე კონტროლის ფაქტს აფასებს, თუ გარემოებები მიუთითებს, რომ კონტროლის ზემოთ ჩამოთვლილ ერთ ან მეტ ელემენტში მოხდა ცვლილება.

თუ ინვესტირების ობიექტში ბანკს გააჩნია ხმის უფლების უმრავლესობაზე ნაკლები, მას ინვესტირების ობიექტში ძალაუფლება ექნება იმ შემთხვევაში, თუ მის ხელთ არსებული ხმის უფლებები საკმარისია მისთვის ობიექტის სათანადო საქმიანობის ცალმხრივად გაძღოლის პრაქტიკული შესაძლებლობის მისანიჭებლად. იმის შესაფასებლად, საკმარისია თუ არა მის ხელთ არსებული ხმის უფლებები ძალაუფლების მისანიჭებლად, ბანკი ითვალისწინებს ყველა შესაბამის ფაქტსა და გარემოებას, მათ შორის:

- ბანკის მიერ ფლობილი ხმის უფლებების მოცულობას ხმის დანარჩენი უფლებების წილთან და განაწილებასთან შედარებით;
- ბანკის, სხვა ხმის უფლებათა მქონე თუ სხვა მხარეთა მიერ ფლობილ პოტენციურ ხმის უფლებებს;
- სხვა საკონტრაქტო გარიგებებიდან წარმოშობილ უფლებებს; და
- ყველა დამატებით ფაქტსა და გარემოებას, რომლებიც მიუთითებს იმაზე, რომ ბანკს აქვს ან არ აქვს შესაძლებლობა, გადაწყვეტილების მიღების საჭიროების შემთხვევაში, წარმართოს შესაბამისი საქმიანობა, მათ შორის აქციონერთა წინა კრებებზე დაფიქსირებული ხმათა განაწილება

შვილობილი კომპანიის კონსოლიდირება იწყება, როდესაც ბანკი მოიპოვებს კონტროლს შვილობილ კომპანიაზე და სრულდება, როდესაც ბანკი ამ კონტროლს კარგავს. კერძოდ, წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული შვილობილი კომპანიის შემოსავალი და ხარჯები მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების კონსოლიდირებულ ანგარიშში შედის ბანკის მიერ კონტროლის მიღების დღიდან ბანკის მიერ კონტროლის დაკარგვის დღემდე.

მოგება-ზარალი და სხვა სრული შემოსავლები ნაწილდება ბანკისა და უმცირესობის წილის მფლობელებზე. შვილობილი კომპანიების სრული შემოსავლები ნაწილდება ბანკისა და უმცირესობის წილების მფლობელებზე მაშინაც კი, როდესაც ამის შედეგად უმცირესობის წილების მფლობელებს უარყოფითი ნაშთი უჩნდებათ.

აუცილებლობის შემთხვევაში, შვილობილი კომპანიების სააღრიცხვო პოლიტიკისა და ჯგუფის საბუღალტრო პოლიტიკის შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, ხდება შვილობილი კომპანიების ფინანსური უწყისების კორექტირება.

ჯგუფის შიგნით არსებული ყველა აქტივი და ვალდებულება, ასევე კაპიტალი, ტრანზაქციებთან დაკავშირებული შემოსავალი, ხარჯები და ფულადი სახსრების მოძრაობა კონსოლიდაციის დროს სრულად იქვითება.

**უმცირესობის წილი**

უმცირესობის წილი წარმოადგენს შვილობილი კომპანიების მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების, ასევე წმინდა აქტივების წილს, რომელიც არ არის პირდაპირ ან არაპირდაპირ ბანკის მფლობელობაში.

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების კონსოლიდირებულ ანგარიშში უმცირესობის წილი წარმოდგენილია ცალკე, ხოლო ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშში იგი შედის კაპიტალში დამფუძნებელი აქციონერი კომპანიის კაპიტალისაგან დამოუკიდებლად.

**არსებულ შვილობილ კომპანიებში ჯგუფის მონაწილეობის ცვლილება**

შვილობილ კომპანიებში ჯგუფის მონაწილეობის ისეთი ცვლილება, რომელიც არ იწვევს ჯგუფის მიერ შვილობილ კომპანიაზე კონტროლის დაკარგვას, აღირიცხება, როგორც კაპიტალის ტრანზაქციები. ჯგუფის მიერ ფლობილი წილებისა და უმცირესობის წილების საბალანსო ღირებულებები კორექტირდება ისე, რომ მათში აისახოს შვილობილ კომპანიებში არსებულ ფარდობით წილში შესული ცვლილებები. ნებისმიერი სხვაობა უმცირესობის წილის მაკორექტირებელ თანხასა და მიღებული ან გადახდილი ანაზღაურების რეალურ ღირებულებას შორის აღიარდება პირდაპირ კაპიტალში და ნაწილდება ბანკის მფლობელებზე.

**საპროცენტო შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება**

ფინანსური აქტივიდან საპროცენტო შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც სავარაუდოა, რომ ჯგუფში მოხდება ეკონომიკური სარგებლის შემოდინება და შემოსავლის სარწმუნოდ გაზომვა შესაძლებელია. საპროცენტო შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით და აისახება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი, წარმოადგენს მეთოდს, რომელიც ეფუძნება ფინანსური აქტივის, ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების და ან ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზირებულ ღირებულებას, რომლის საშუალებით საპროცენტო შემოსავალი, ან ხარჯი ნაწილდება შესაბამის პერიოდზე.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც ზუსტად ახდენს მოსალოდნელი ფულადი სახსრების (ყველა მიღებული, ან გადახდილი საკომისიოს ჩათვლით, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის, გარიგებების ხარჯების, სხვა ფასნამატებისა და დისკონტების განუყოფელ ნაწილს) დისკონტირებას ფინანსური აქტივის, ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო სასარგებლო მოხმარების პერიოდის ამოწურვამდე, ან (თუ მისაღებია) უფრო მოკლე ვადაში.

მას შემდეგ, რაც ფინანსური აქტივი, ან მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფი ჩამოიწერება (ნაწილობრივ ჩამოიწერება) გაუფასურების შედეგად მიღებული დანაკარგების გამო, საპროცენტო შემოსავლის აღიარება იმ საპროცენტო განაკვეთით ხორციელდება, რომელიც გაუფასურების დანაკარგების დადგენის მიზნით მოსალოდნელი ფულადი სახსრების დისკონტირებისათვის გამოიყენება.

აქტივებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავალი რეალური ღირებულებით აისახება საპროცენტო შემოსავალში.

**საკომისიო შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება**

სესხის საკომისიო გადასახადი ექვემდებარება გადავადებას მასთან დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებთან ერთად და კორექტირდება სესხის ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე. სადაც შესაძლებელია რომ სასესხო ვალდებულებამ წარმოშვას კონკრეტული სასესხო ხელშეკრულების გაფორმება, სასესხო ვალდებულების საკომისიო გადავადდება დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებთან ერთად და კორექტირდება სესხის ეფექტურ ამონაგებზე. სადაც

შეუძლებელია რომ სასესხო ვალდებულებამ წარმოშვას კონკრეტული სასესხო ხელშეკრულების გაფორმება, სასესხო ვალდებულების საკომისიოს აღიარება ხდება მოგება-ზარალსა და სხვა სრულ შემოსავლებში სასესხო ვალდებულების დარჩენილი პერიოდის განმავლობაში. როდესაც სასესხო ვალდებულების ხელშეკრულების ვადა იწურება ყველანაირი სასესხო ხელშეკრულების გაფორმების გარეშე, სასესხო ვალდებულების საკომისიოს აღიარება ხდება მოგება-ზარალსა და სხვა სრულ შემოსავლებში ვადის ამოწურვის დღეს.

ყველა სხვა საკომისიოს აღიარება ხდება მომსახურების გაწევისას.

**ფინანსური ინსტრუმენტები**

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები აისახება ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში, როდესაც იგი ხდება ხელშეკრულების მონაწილე შესაბამის ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეგულარული ხასიათის შესყიდვისა და გაყიდვის აღიარება ხორციელდება ანგარიშსწორების თარიღის მდგომარეობით.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება ხორციელდება რეალური ღირებულებით. გარიგების ღირებულება, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შესყიდვას და გამოშვებას (მოგებასა და ზარალში რეალური ღირებულებით აღიარებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარდა) ემატება, ან აკლდება ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებას. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შესყიდვასა და გამოშვებასთან დაკავშირებული გარიგების ღირებულება დაუყოვნებლივ აისახება მოგება-ზარალსა და სხვა სრულ შემოსავლებში.

***ფინანსური აქტივები***

ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება შემდეგ კატეგორიებად: „მოგებასა და ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები", „დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები", „გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები" და „სესხები და მოთხოვნები". კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივების სპეციფიკასა და დანიშნულებაზე და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

***მოგებასა და ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები***

ფინანსური აქტივები იმ შემთხვევაში კლასიფიცირდება მოგებასა და ზარალში რეალური ღირებულებით ასახულ ფინანსურ აქტივად, თუ ფინანსური აქტივი გასაყიდად არსებულ ფინანსურ აქტივად კლასიფიცირდება, ან მოგებასა და ზარალის მეშვეობით აისახება რეალური ღირებულებით.

ფინანსური აქტივის კლასიფიკაცია გასაყიდად არსებულად ხორციელდება, როდესაც:

- შესყიდულია ახლო მომავალში გაყიდვის მიზნით; ან
- თავდაპირველი აღიარებისას წარმოადგენს იდენტიფიცირებადი ფინანსური ინსტრუმენტების პორტფელის ნაწილს, რომლებიც ერთად იმართება და არსებობს მათგან მოკლევადიანი მოგების მიღების ობიექტური მაჩვენებელი; ან
- განეკუთვნება დერივატივებს და არ მიიჩნევა ჰეჯირების ეფექტურ ინსტრუმენტად).

ფინანსური აქტივები, სავაჭროდ გამიზნული ფინანსური აქტივების გამოკლებით, მოგება-ზარალში თავდაპირველი აღიარებისას იმ შემთხვევაში შეიძლება აისახოს რეალური ღირებულებით, თუ:

- ამგვარი ასახვით ელიმინირდება, ან მნიშვნელოვნად მცირდება მოსალოდნელი შეუსაბამობა აღიარებასა თუ შეფასებაში;

- ფინანსური აქტივი შეადგენს ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების, ან ორივე ჯგუფის ნაწილს, რომელიც იმართება და ფასდება რეალური ღირებულების საფუძველზე ჯგუფის დოკუმენტირებული რისკის მართვის ან ინვესტირების სტრატეგიის შესაბამისად, და დაჯგუფების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა შიდა მოხმარებისათვის მათ საფუძველზე ხორციელდება; ან
- იგი წარმოადგენს იმ კონტრაქტის ნაწილს, რომელიც მოიცავს ერთ, ან მეტ ჩართულ წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტს და ბასს 39 “ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება” ნებას იძლევა ერთიანი კომბინირებული კონტრაქტი (აქტივი ან ვალდებულება) რეალური ღირებულებით აისახოს მოგებასა და ზარალში.

რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით აისახება მოგება-ზარალსა და სხვა სრულ შემოსავლებში გადაფასებისას წარმოქმნილი მოგებისა და ზარალის გათვალისწინებით. წმინდა მოგება ან ზარალი, რომელიც მოგება-ზარალსა და სხვა სრულ შემოსავლებში აისახება, მოიცავს ფინანსურ აქტივზე მიღებულ ყველა დივიდენდსა და საპროცენტო შემოსავალს და შედის "სხვა მოგება და ზარალისა" და "საპროცენტო შემოსავლის" ჯგუფში მოგება-ზარალისა და სხვა სრულ შემოსავლების უწყისში.

*დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები*

დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს განსაზღვრადი ან ფიქსირებული გადახდებითა და ფიქსირებული დაფარვის ვადებით, რომელთა მიმართ ჯგუფს აქვს დადებითი განზრახვა და შესაძლებლობა, მფლობელობაში დაიტოვოს ისინი დაფარვის ვადის დადგომამდე. ამგვარი ფასიანი ქაღალდების ასახვა ხდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთზე დაფუძნებული ამორტიზებული ღირებულებით, გაუფასურების დანაკარგების რეზერვის გამოკლებით.

იმ შემთხვევაში თუ ჯგუფი იძულებული იქნება დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები (გამონაკლისი სპეციფიური გარემოებების გარდა) დაფარვის ვადამდე გაყიდოს, ან მოახდინოს მათი რეკლასიფიკაცია, ამას მთელ კატეგორიაზე ექნება გავლენა და საჭირო გახდება მათი რეკლასიფიკაცია გასაყიდად არსებულად. უფრო მეტიც, შემდეგი ორი წლის განმავლობაში ჯგუფს ეკრძალება ნებისმიერი ფინანსური აქტივის კლასიფიკაცია დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციების სახით.

*გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები*

გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები წარმოადგენს არადერივატიულ აქტივებს, რომლებიც ან გასაყიდად არის გამიზნული, ან არ კლასიფიცირდება როგორც (ა) სესხები და მოთხოვნები, (ბ) დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები, ან (გ) მოგებასა და ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები.

ჯგუფს გააჩნია ინვესტიციები აქციებში, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე, თუმცა ისინი კლასიფიცირდება როგორც გასაყიდად არსებული აქტივები.

გასაყიდად არსებული ფულადი აქტივების სამართლიანი ღირებულება, ასახული უცხოურ ვალუტაში, განისაზღვრება იმავე ვალუტით და ითვლება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის არსებული გაცვლითი კურსით. მოგება-ზარალსა და სხვა სრულ შემოსავლებში ასახული უცხოური ვალუტიდან მიღებული მოგება და ზარალი აღიარდება ფულადი აქტივის ამორტიზებული ღირებულების საფუძველზე. უცხოური ვალუტის კონვერტაციით მიღებული სხვა მოგება და ზარალი აისახება მოგება-ზარალსა და სხვა სრულ შემოსავლებში.

გასაყიდად არსებული ინვესტიციები კაპიტალში, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე და რომელთა სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა ვერ ხერხდება, ფასდება თვითღირებულებით თითოეული ანგარიშგების პერიოდის დასასრულისათვის დადგენილი გაუფასურების დანაკარგების რეზერვის ხარჯის გამოკლებით.

*სესხები და მოთხოვნები*

მოთხოვნები, სესხები და სხვა მოთხოვნები განსაზღვრული ან ფიქსირებული გადახდებით, რომლებიც არ არის კოტირებული მოქმედ ბაზარზე, კლასიფიცირდება როგორც „სესხები და მოთხოვნები". სესხები და მოთხოვნები გაუფასურების დანაკარგების გამოკლებით აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. საპროცენტო შემოსავალი აღიარებას ექვემდებარება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით გარდა იმ მოკლევადიანი მოთხოვნების პროცენტისა, რომელიც არ არის არსებითი.

*ფინანსური აქტივების გაუფასურება*

ფინანსური აქტივების გაუფასურების საფუძვლის შეფასება ხდება ანგარიშგების თითოეული პერიოდის ბოლოსათვის, გარდა იმ ფინანსური აქტივებისა, რომელიც აისახება მოგებასა და ზარალში სამართლიანი ღირებულებით. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება, როდესაც ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ არსებობს იმის ობიექტური საფუძველი, რომ ერთი, ან რამდენიმე გარემოება გავლენას ახდენს ინვესტიციებიდან მოსალოდნელი ფულადი სახსრების შემოდინებაზე.

გასაყიდად არსებულ ინვესტიციებად კლასიფიცირებულ კაპიტალში არაკოტირებულ ინვესტიციების გაუფასურების ობიექტურ მაჩვენებლად ითვლება ფასიანი ქაღალდის სამართლიანი ღირებულების მნიშვნელოვანი, ან ხანგრძლივი შემცირება თვითღირებულებასთან შედარებით.

ყველა სხვა ფინანსური აქტივის შემთხვევაში გაუფასურების ობიექტური მაჩვენებლები მოიცავს:

- გამომშვების, ან კონტრაგენტის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეებს; ან
- ხელშეკრულების დარღვევას, რაც გულისხმობს პროცენტის, ან ძირითადი თანხის გადახდისუუნარობას, ან თავის არიდებას; ან
- პროცენტის, ან ძირითადი თანხის გადაუხდელობას; ან
- მსესხებლის გაკოტრებას, ან ფინანსურ რეორგანიზაციას; ან
- ფინანსური სირთულეების გამო ფინანსური აქტივის მოქმედი ბაზრის გაუქმებას.

ფინანსური აქტივების გარკვეული კატეგორიის შემთხვევაში, მაგალითად როგორიცაა სესხები და მოთხოვნები, აქტივები, რომლებიც ინდივიდუალურად არ არ არის გაუფასურებული, დამატებით ფასდება ჯგუფური გაუფასურების თვალსაზრისით. სესხებისა და მოთხოვნების გაუფასურების ობიექტური საფუძველი მოიცავს ჯგუფის წარსულ გამოცდილებას გადახდებთან მიმართებაში, პორტფელში ვადაგადაცილებული გადახდების რაოდენობის ზრდასა და ეროვნული, ან ადგილობრივი ეკონომიკური პირობების თვალსაჩინო ცვლილებებს, რომლებიც პირდაპირ კავშირშია მოთხოვნების ამოღების შეუძლებლობასთან.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების გაუფასურება განისაზღვრება როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის.

თვითღირებულებით ასახული ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურების ხარჯი განისაზღვრება როგორც სხვაობა ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მსგავსი ფინანსური აქტივების უკუგების მიმდინარე საბაზრო განაკვეთით დისკონტირებულ მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის. ასეთი გაუფასურების რეზერვი არ ექვემდებარება კორექტირებას.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება პირდაპირ მცირდება გაუფასურების დანაკარგებით, გარდა სესხებისა და მოთხოვნებისა, სადაც საბალანსო ღირებულება

მცირდება გაუფასურების ანგარიშის გამოყენებით. როდესაც სესხის, ან მოთხოვნის ამოღების შესაძლებლობა ამოწურულია იგი ჩამოიწერება სარეზერვო ანგარიშის გამოყენებით. გაუფასურების რეზერვის საბალანსო ღირებულების ანგარიშის ცვლილება აისახება მოგება-ზარალსა და სხვა სრულ შემოსავლებში.

როდესაც გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივი ჩაითვლება გაუფასურებულად, სხვა სრულ შემოსავლებში მანამდე აღიარებული კუმულატიური მოგება ან ზარალი გადაკლასიფიცირდება პერიოდის მოგება-ზარალსა და სხვა სრულ შემოსავლებში.

იმ შემთხვევაში, თუ ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების გაუფასურების დანაკარგების თანხის შემცირება აღიარების მომდევნო პერიოდში ობიექტურად შეიძლება დაუკავშირდეს გაუფასურების აღიარების შემდგომ მოვლენებს, თავდაპირველად აღიარებული გაუფასურების დანაკარგები კორექტირდება მოგება-ზარალსა და სხვა სრულ შემოსავლებში იმ ოდენობით, რომ ინვესტიციების საბალანსო ღირებულებამ გაუფასურების რეზერვის კორექტირების თარიღისათვის არ გადააჭარბოს იმ ამორტიზებულ ღირებულებას, რომელიც იქნებოდა გაუფასურების არ აღიარების შემთხვევაში.

გასაყიდად არსებული წილობრივი ფასიანი ქაღალდების შემთხვევაში, მოგება-ზარალსა და სხვა სრულ შემოსავლებში მანამდე აღიარებული გაუფასურების დანაკარგები მოგება-ზარალსა და სხვა სრულ შემოსავლებში არ აღდგება. გაუფასურების დანაკარგის აღიარების შემდგომ სამართლიანი ღირებულების ნებისმიერი ზრდა აღიარდება სხვა სრულ შემოსავლებში და აკუმულირდება ინვესტიციების გადაფასების რეზერვის ჯგუფში.

გასაყიდად არსებული სავალო ფასიანი ქაღალდების შემთხვევაში, გაუფასურების დანაკარგები მოგება-ზარალსა და სხვა სრულ შემოსავლებში შემდგომში აღდგება, თუ ინვესტიციის სამართლიანი ღირებულების ზრდა შეიძლება ობიექტურად უკავშირდებოდეს გაუფასურების დანაკარგების აღიარების შემდგომ მომხდარ მოვლენას.

*სესხები, კონტრაქტის შეცვლილი პირობებით*

სადაც შესაძლებელია ჯგუფი ცდილობს უზრუნველყოფის დასაკუთრების ნაცვლად მოახდინოს სესხის რესტრუქტურიზაცია. ეს შეიძლება მოიცავდეს გადახდის გრაფიკის გაზრდასა და ახალი სესხის პირობებზე შეთანხმებას. პირობების შეცვლის შემდეგ ნებისმიერი გაუფასურება ფასდება თავდაპირველი საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, როგორც გამოითვლებოდა პირობების მოდიფიკაციამდე და სესხი აღარ ითვლება ვადაგადაცილებულად. ხელმძღვანელობა მუდმივად განიხილავს სესხებს, რომელთა პირობები შეიცვალა, რათა უზრუნველყოს კრიტერიუმებთან შესაბამისობა და მომავალში გადახდების დაწყება. სესხები კვლავ ექვემდებარება ინდივიდუალურ ან ჯგუფურ შეფასებას გაუფასურების თვალსაზრისით, რაც გამოითვლება სესხის თავდაპირველი საპროცენტო განაკვეთით.

*სესხებისა და ავანსების ჩამოწერა*

სესხებისა და ავანსების ამოღების შეუძლებლობის შემთხვევაში, მათი ჩამოწერა ხდება სესხების გაუფასურების დანაკარგის რეზერვის გამოყენებით. სესხები და ავანსები ექვემდებარება ჩამოწერას იმ შემთხვევაში თუ ხელმძღვანელობამ ამოწურა ჯგუფის მიმართ მოთხოვნების ამოღების ყველა შესაძლებლობა და ჯგუფმა მოახდინა ყველა შესაძლო უზრუნველყოფის რეალიზება. წინა პერიოდში ჩამოწერილი თანხების აღდგენა ხდება ფინანური აქტივების გაუფასურების გაქვითვით და კონსოლიდირებულ მოგება-ზარალსა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშში. აღდგენის პერიოდში აისახება.

*ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა*

ჯგუფის ფინანსური აქტივების აღიარება შეწყდება, როდესაც აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლების კონტრაქტით გათვალისწინებული ვადა ამოიწურა, ან თუ ჯგუფმა სხვა საწარმოს გადასცა ფინანსური აქტივები და შესაბამისად აქტივის ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და შემოსავლები. თუ ჯგუფი არც გადასცემს და არც იტოვებს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა

და შემოსავლებს და აგრძელებს გადაცემული აქტივის კონტროლს, იგი აღიარებს აქტივში შენარჩუნებულ მონაწილეობას და მასთან დაკავშირებულ ვალდებულებას სავარაუდოდ გადასახდელი თანხის ოდენობით. იმ შემთხვევაში თუ ჯგუფი იტოვებს გადაცემულ ფინანსურ აქტივთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და შემოსავლებს, იგი აგრძელებს ფინანსური აქტივის და მიღებული ფულადი სახსრებით უზრუნველყოფილი სესხების აღიარებას.

მთლიანად ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტისას, სხვაობა, ერთი მხრივ, აქტივის საბალანსო ღირებულებას და, მეორე მხრივ, მიღებული და მისაღები ანაზღაურების და სხვა სრულ შემოსავლებში აღიარებული და კაპიტალში დაგროვილი მთლიანი მოგება-ზარალის ჯამს შორის აღირიცხება მოგება-ზარალში.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტისას, გარდა მთლიანი შეწყვეტისა (მაგალითად, როდესაც ჯგუფი ინარჩუნებს უფლებას გამოისყიდოს გადაცემული აქტივის ნაწილი, ჯგუფი ანაწილებს ფინანსური აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებას გადაცემისას შენარჩუნებული ნაწილსა და იმ ნაწილის რეალურ ღირებულებებს შორის, რომლის აღიარებაც შეწყდა. სხვაობა, ერთი მხრივ, აღიარებაშეწყვეტილ ნაწილზე მიკუთვნებულ საბალანსო ღირებულებას და, მეორე მხრივ, ამავე ნაწილში მიღებული ანაზღაურებისა და მასზე მიკუთვნებული და სხვა სრულ შემოსავლებში აღიარებული მთლიანი მოგება-ზარალის ჯამი აღირიცხება მოგება-ზარალის უწყისში. მთლიანი მოგება-ზარალი, რომელიც მანამდე აღიარებულია სხვა სრულ შემოსავლებში, ნაწილდება აღიარება გაგრძელებულ და აღიარება შეწყვეტილ ნაწილებზე ამ ნაწილების სამართლიანი ღირებულებების პროპორციულად.

**ფინანსური ვალდებულებები და გამოშვებული კაპიტალის ინსტრუმენტები**

*კლასიფიკაცია სესხის ან კაპიტალის სახით*

სესხისა და კაპიტალის ინსტრუმენტები კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური ვალდებულებები ან კაპიტალი კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების არსისა და ფინანსური ვალდებულების და კაპიტალის ინსტრუმენტის განმარტებიდან გამომდინარე.

*კაპიტალის ინსტრუმენტები*

კაპიტალის ინსტრუმენტი წარმოადგენს ნებისმიერ კონტრაქტს, რომელიც ადასტურებს ჯგუფის აქტივებში ნარჩენ წილს, ყველა ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ. ჯგუფის მიერ გამოშვებული კაპიტალის ინსტრუმენტები აღიარებას ექვემდებარება მიღებულ შემოსავლებთან ერთად გამოშვების ხარჯების გამოკლებით.

*კომბინირებული ინსტრუმენტები*

ჯგუფის მიერ გამოშვებული კომბინირებულ ინსტრუმენტებში შემავალი ნაწილები ცალკე კლასიფიცირდება როგორც ფინანსური ვალდებულებები და კაპიტალი კონტრაქტის პირობების შესაბამისად. გამოშვების დღეს ვალდებულებების კომპონენტის სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება მსგავსი არაკონვერტირებადი ინსტრუმენტებისათვის ბაზარზე მოქმედი საპროცენტო განაკვეთით. ეს თანხა ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის საშუალებით ამორტიზებული ღირებულებით აისახება როგორც ვალდებულება სანამ დაიფარება კონვერტაციისას, ან გადაიხდება ინსტრუმენტის დაფარვის თარიღისათვის.

*ფინანსური ვალდებულებები*

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება როგორც "სხვა ფინანსური ვალდებულებები."

*სხვა ფინანსური ვალდებულებები*

სხვა ფინანსური ვალდებულებები, საქართველოს ეროვნულ ბანკში სადეპოზიტო ინსტრუმენტების, ბანკების მიმართ ვალდებულებებისა და კლიენტების ანგარიშების და

სუბორდინირებული სესხებისა და სხვა ვალდეულებების ჩათვლით თავდაპირველად აისახება სამართლიანი ღირებულებით გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით.

სხვა ფინანსური ვალდებულებები, შემდგომში, ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით საპროცენტო ხარჯის აღიარების პარალელურად ეფექტური მოგების საფუძველზე.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური ვალდებულების ამორტიზებულ ღირებულების გამოთვლის მეთოდი. მისი საშუალებით საპროცენტო ხარჯი ნაწილდება შესაბამის პერიოდზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის ის განაკვეთი, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას ზუსტად ახდენს მოსალოდნელი ფულადი სახსრების გადახდების (მათ შორისაა ყველა გადახდილი თუ მიღებული ის საკომისიო, რომელიც შეადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის, ტრანსაქციის ხარჯებისა და სხვა პრემიების ან დისკონტების განუყოფელ ნაწილს) დისკონტირებას ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებამდე ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი სასარგებლო მოხმარების ვადის ან სადაც ეს მართებულია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში.

**ფინანსური გარანტიის კონტრაქტები**

ფინანსური გარანტიის კონტრაქტი არის კონტრაქტი, რომლის მიხედვით გამცემი ვალდებულია, განახორციელოს წინასწარ დადგენილი გადახდები მისი მფლობელისათვის გაწეული ზარალის ანაზღაურების მიზნით, თუ დადგენილ მოვალე არ ფარავს გადახდის ვალდებულებას ვადის დადგომის შემთხვევაში სავალო ინსტრუმენტის პირობების შესაბამისად.

ჯგუფის მიერ გაცემული ფინანსური გარანტიის კონტრაქტები თავდაპირველად აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით, შემდგომ კი შემდეგი ოდენობებიდან უდიდესით:

- კონტრაქტით ნაკისრი ვალდებულების მოცულობა ბასს 37 "რეზერვები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები" მიხედვით; და
- თავდაპირველად აღიარებული თანხა, რომელსაც გამოკლებული აქვს შემოსავლების აღიარების პოლიტიკის მიხედვით აღრიცხული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა.

***ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა***

ჯგუფი ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება, ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

***იჯარა***

იჯარა ფინანსურად ითვლება მაშინ, როდესაც იჯარის პირობებით მფლობელობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა სარგებელი და რისკი გადაეცემა მოიჯარეს. ყველა სხვა სახის იჯარა ითვლება საოპერაციო იჯარად.

*ჯგუფი, როგორც მეიჯარე*

საოპერაციო იჯარიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება წრფივი მეთოდით იჯარის მოქმედების ვადის განმავლობაში. მოლაპარაკებებისა და საოპერაციო იჯარის ორგანიზების დროს გაწეული პირდაპირი პირველადი ხარჯები ემატება საიჯარო აქტივის საბალანსო ღირებულებას და აისახება იჯარის პერიოდზე თანაბარი გადანაწილებით წრფივი მეთოდით.

*ჯგუფი, როგორც მოიჯარე*

საოპერაციო იჯარაში გადახდილი თანხების აღიარება ხდება იჯარის პერიოდზე თანაბრად გადანაწილებული ხარჯის სახით წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სისტემატიზაციის სხვა საფუძველი უფრო წარმომადგენლობითია საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მიღების გრაფიკის თვალსაზრისით. საიჯარო შეთანხმების საფუძველზე გადახდილი პირობითი საიჯარო თანხების ასახვა ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდისთვის, როდესაც მოხდა მათი გადახდა.

**ფული და ფულის ექვივალენტები**

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში, თავისუფალ ნაშთებს საკორესპონდენტო და ვადიან სადეპოზიტო ანგარიშებზე საქართველოს ეროვნულ ბანკში ოთხმოცდაათ დღემდე დაფარვის თავდაპირველი ვადით, და თანხებს საკრედიტო ორგანიზაციებიდან მისაღები ოთხმოცდაათ დღემდე დაფარვის თავდაპირველი ვადით, რომლებიც თავისუფალია ხელშეკრულებით დადგენილი ვალდებულებებისგან.

**საქართველოს ეროვნული ბანკის სავალდებულო რეზერვები**

ეროვნული ბანკის მინიმალური სავალდებულო რეზერვი წარმოადგენს სავალდებულო რეზერვის თანხას, რომელიც დეპონირებულია საქართველოს ეროვნულ ბანკში საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნების შესაბამისად და რომელთა ხელმისაწვდომობა შეზღუდულია. ზემოხსენებულიდან გამომდინარე, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მოთხოვნილი სავალდებულო მინიმალური რეზერვი არ არის ასახული ფულის ექვივალენტებში სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგების ფარგლებში.

**დასაკუთრებული ქონება**

გარკვეულ გარემოებებში აქტივების დაბრუნება ხდება კრედიტის გადაუხდელობის შემთხვევაში. დასაკუთრებული ქონების შეფასება ხდება საბალანსო ღირებულებისა და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯებს შორის უმცირესი ღირებულებით.

**ძირითადი საშუალებები**

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი ღირებულება ფასდება მათი შესყიდვის ფაქტიურ ხარჯებზე დაყრდნობით, რომელიც მოიცავს მათი შესყიდვის ფასს, შესყიდვის არ ანაზღაურებად გადასახადს და ნებისმიერ პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯს, რომელიც უკავშირდება აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოყვანას და დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად განთავსებას. თავდაპირველი აღიარების შემდეგ ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია ისტორიული ღირებულებით დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების გამოკლებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ცვეთის აღიარება ხორციელდება აქტივების შეფასების ხარჯების ჩამოწერის მიზნით (გარდა უპირობოდ ფლობილი მიწებისა და დაუმთავრებელი მშენებლობისა) მათი სასარგებლო მოხმარების პერიოდის ნარჩენი ღირებულების გამოკლებით წრფივი მეთოდის გამოყენებით. აქტივების სასარგებლო მოხმარების ვადის, ნარჩენი ღირებულებისა და ამორტიზაციის მეთოდის გადახედვა ხორციელდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის დაშვებებში ნებისმიერი ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით შემდეგი წლიური განაკვეთების გამოყენებით:

| | |
|---|---|
| შენობები და სხვა უძრავი ქონება | 2%-3% |
| ავეჯი და ოფისის მოწყობილობა | 10%-20% |
| საოფისე და კომპიუტერული მოწყობილობა | 10%-33% |
| სხვა | 5%-20% |
| არამატერიალური აქტივები | 10% |

უპირობოდ ფლობილი მიწები არ ექვემდებარება ცვეთას.

იჯარით აღებული ძირითადი საშუალებების კეთილმოწყობის ცვეთა ითვლება მათთან დაკავშირებული საიჯარო აქტივების სასარგებლო მოხმარების პერიოდის მიხედვით. რემონტისა და განახლების ხარჯები აისახება გაწევისთანავე და შედის საოპერაციო ხარჯებში ან ექვემდებარება კაპიტალიზაციას, თუ არსებობს ამის საკმარისი საფუძველი.

გადაფასებული შენობების ცვეთა აისახება კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშში. გადაფასებული ძირითადი საშუალებების შემდგომი მოხმარებისას გადაფასების ნარჩენი ღირებულება, რომელიც გადაფასების რეზერვში რჩება, პირდაპირ გადადის გაუნაწილებელ მოგებაში. რეალიზებული ნარჩენი ღირებულების თანხა წარმოადგენს სხვაობას აქტივის გადაფასებული საბალანსო ღირებულების ცვეთის ხარჯსა და აქტივის ისტორიულ ღირებულებაზე დარიცხულ ცვეთის ხარჯს შორის.

**არამატერიალური აქტივები**

ცალკე შესყიდული არამატერიალური აქტივები, განსაზღვრული მოხმარების ვადით, აღირიცხება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციის და გაუფასურების დანაკარგების გამოკლებით. ამორტიზაციის გაანგარიშება წარმოებს წრფივი მეთოდის საფუძველზე მათი ექსპლუატაციის ვადის მიხედვით. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მოხმარების ვადის და ამორტიზაციის მეთოდის გადახედვა ხორციელდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის დაშვებებში ნებისმიერი ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით. ცალკე შესყიდული არამატერიალური აქტივები, განუსაზღვრელი მოხმარების ვადით, აღირიცხება თვითღირებულებით, დაგროვილი გაუფასურების ხარჯის გამოკლებით.

*არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტა*

არამატერიალური აქტივი ჩამოიწერება რეალიზაციისას, ან იმ შემთხვევაში თუ მისი გამოყენების ან გაყიდვის შედეგად არ ივარაუდება მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება. არამატერიალური აქტივის ჩამოწერით მიღებული მოგება ან ზარალი წარმოადგენს სხვაობას რეალიზაციის შედეგად მიღებულ წმინდა მოგებასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის, რომელიც აისახება მოგება-ზარალსა და სხვა სრულ შემოსავლებში აქტივის აღიარების შეწყვეტისას.

**არაფინანსური აქტივების გაუფასურება გუდვილის გარდა**

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ჯგუფი ამოწმებს ძირითადი საშუალებებსა და არამატერიალურ აქტივებს, ამ აქტივების გაუფასურების ობიექტური მაჩვენებლების გამოვლენის მიზნით. ასეთი მაჩვენებლის არსებობის შემთხვევაში, აქტივის აღდგენითი ღირებულება ფასდება გაუფასურების მასშტაბების განსაზღვრისათვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში). იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია ინდივიდუალური აქტივის აღდგენითი ღირებულების დადგენა ჯგუფი განსაზღვრავს იმ ფულადი სახსრების გენერირების ერთეულის აღდგენით ღირებულებას, რომელსაც განეკუთვნება აქტივი. განაწილების მართებული და თანმიმდევრული საფუძვლის არსებობის შემთხვევაში კორპორატიული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების გენერირების ინდივიდუალურ ერთეულებზე, ან ამ ერთეულების უფრო პატარა ჯგუფებზე, რომელთა მართებული განაწილების საფუძველი არსებობს.

აღდგენითი ღირებულება არის რეალურ ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯები და სამომხმარებლო ღირებულებას შორის უმეტესი. გამოყენებითი ღირებულების შეფასებისას მომავალში მისაღები ფულადი ნაკადები დღევანდელ ღირებულებამდე ექვემდებარება დისკონტირებას გადასახადამდე არსებული საპროცენტო განაკვეთით, რომელიც ასახავს არსებული ბაზრის შეფასებას ფულის ღირებულებით დროში და ითვალისწინებს აქტივისათვის დამახასიათებელ რისკებს, რომელთა საფუძველზე მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების კორექტირება არ განხორციელებულა.

იმ შემთხვევაში, თუ აქტივის (ან ფულის გენერირების ერთეულის) ღირებულება მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებია აქტივის (ან ფულის გენერირების ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის აღდგენით ღირებულებამდე. გაუფასურების დანაკარგები აღიარებას ექვემდებარება მოგებასა და ზარალში, თუ შესაბამისი აქტივი არ არის წარმოდგენილი გადაფასებული ღირებულებით. ასეთ შემთხვევაში გაუფასურების დანაკარგები აისახება, როგორც შემცირება გადაფასებისას.

გაუფასურების გაუქმების შემთხვევაში აქტივის (ან ფულის გენერირების ერთეულის) საბალანსო ღირებულება იზრდება აღდგენადი თანხის შესწორებულ სავარაუდო მოცულობამდე ისე, რომ გაზრდილმა საბალანსო ღირებულებამ არ გადააჭარბოს ნარჩენ ღირებულებას, რომლის აღიარებას ადგილი ექნებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში აქტივის (ან ფულის გენერირების ერთეულის) გაუფასურების დანაკარგების აღიარება არ განხორციელებულა. გაუფასურების დანაკარგების გაუქმება დაუყოვნებლივ აისახება მოგება-ზარალსა და სხვა სრულ შემოსავლებში, თუ შესაბამისი აქტივი არ აისახება გადაფასებული ღირებულებით. ასეთ შემთხვევაში გაუფასურების დანაკარგების აღდგენა განიხილება როგორც გადაფასების ზრდა.

**გასაყიდად კლასიფიცირებული აქტივები**

ჯგუფი ახდენს გრძელვადიანი აქტივების (ან სარეალიზაციო ჯგუფის) კლასიფიცირდებას როგორც გასაყიდად არსებულის, თუ არსებობს დიდი ალბათობა იმისა, რომ აქტივების საბალანსო ღირებულება აღდგება გაყიდვის გარიგების შედეგად და არა აქტივის გამოყენების გაგრძელების შედეგად. ამისთვის აუცილებელია, რომ გრძელვადიანი აქტივების (ან სარეალიზაციო ჯგუფის) გაყიდვა შესაძლებელი იყოს დაუყოვნებლივ მათ არსებულ მდგომარეობაში, განსახილველია მხოლოდ ის პირობები, რომლებიც დამახასიათებელია ასეთი აქტივების (ან სარეალიზაციო ჯგუფის) გასაყიდად, მათი გაყიდვა კი სავსებით სავარაუდოა.

თუ ჯგუფის ხელმძვანელობას გააჩნია მომზადებული გეგმა გრძელვადიანი აქტივების (ან სარეალიზაციო ჯგუფის) გასაყიდად და წამოწყებულია მყიდველის პოვნისა და გეგმის შესრულების აქტიური პროგრამა. გარდა ამისა, გრძელვადიანი აქტივები (ან სარეალიზაციო ჯგუფი) აქტიურად უნდა იყოს წარმოდგენილი ბაზარზე გასაყიდად, გონივრულ ფასად მის რეალურ ღირებულებასთან მიმართებაში, და, ამასთანავე, გაყიდვა უნდა იქნას აღიარებული, როგორც სრული გაყიდვა ერთი წლის განმავლობაში, გრძელვადიანი აქტივების (ან სარეალიზაციო ჯგუფის) გასაყიდად კლასიფიცირების დღიდან.

ჯგუფის მიერ გასაყიდად კლასიფიცირებული აქტივები (ან სარეალიზაციო ჯგუფი) ფასდება შემდეგ ღირებულებებს შორის უმცირესით: საბალანსო ღირებულება და სამართლიანი ღირებულება გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ჯგუფი აღიარებს გაუფასურების დანაკარგს აქტივების (ან სარეალიზაციო ჯგუფის) ნებისმიერი პირველადი ან მომდევნო ჩამოწერისთვის რეალურ ღირებულებამდე გაყიდვის ხარჯების გამოკლებით, თუ მოვლენები და გარემოებათა ცვლილებები მიგვითითებს, რომ მათი საბალანსო ღირებულება შესაძლებელია გაუფასურებულ იქნეს.

**გადასახადები**

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე და გადავადებული გადასახადების ჯამს.

***მიმდინარე გადასახადი***

მიმდინარე გადასახადის ხარჯი გამოითვლება წლის დასაბეგრი მოგებიდან. დასაბეგრი მოგება განსხვავდება წმინდა მოგებისაგან, რომელიც ასახულია მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების კონსოლიდირებულ ანგარიშში, ვინაიდან ის არ მოიცავს შემოსავლებისა და ხარჯების იმ ნაწილს, რომელიც ექვემდებარება დაბეგვრას ან გამოქვითვას წინა წლებში და აგრეთვე იმ ხარჯებს, რომელიც საერთოდ არ ექვემდებარება

დაბეგვრას ან გამოქვითვას. ჯგუფის მიმდინარე გადასახადის ხარჯი გაანგარიშებულია იმ საგადასახადო განაკვეთით, რომლებიც მოქმედებდა საანგარიშგებო პერიოდისათვის.

*გადავადებული გადასახადი*

გადავადებული გადასახადის აღიარება ხდება იმ დროებითი სხვაობების მიხედვით, რომლებიც თავს იჩენს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და დასაბეგრი მოგების გამოთვლისას გამოყენებულ შესაბამის საგადასახადო ბაზისს შორის. გადავადებული საგადასახადო ვალდებულება, ჩვეულებრივ, აღიარებას ექვემდებარება ყველა გამოქვითვადი დროებითი სხვაობის შემთხვევაში, თუ სავარაუდოდ, იარსებებს ისეთი დასაბეგრი მოგება, რომელზეც შეიძლება აღნიშნული გამოქვითვადი დროებითი სხვაობების გამოყენება. ამგვარი გადავადებული საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების აღიარება არ ხდება, თუ დროებითი სხვაობა გამომდინარეობს სხვა აქტივებისა და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისგან (გარდა საწარმოთა გაერთიანების შემთხვევებისა) ისეთი გარიგების საფუძველზე, რომელიც არ ეხება არც დასაბეგრ მოგებას არც საბალანსო მოგებას.

გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები აღიარებას ექვემდებარება დროებითი სხვაობების გათვალისწინებით, რომლებიც დაკავშირებულია დაკავშირებულ პირებსა და შვილობილ სტრუქტურებში ინვესტიციებთან, ძირითად საშუალებებთან, კლიენტებზე გაცემულ სესხებთან და რეზერვებთან, იმ შემთხვევის გამოკლებით, როდესაც ჯგუფს შეუძლია დროებითი სხვაობის გაუქმების გაკონტროლება და სავარაუდოდ, დროებითი სხვაობის გაუქმება განჭვრეტად მომავალში არ მოხდება. სხვა აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული გამოქვითვადი სხვაობებიდან წარმოშობილი გადავადებული საგადასახადო აქტივები აღირიცხება მხოლოდ მაშინ, თუ მომავალში სავარაუდოდ იარსებებს ისეთი საკმარისი მოცულობის დასაბეგრი მოგება, რომელზეც შესაძლებელია დროებითი სხვაობების გამოყენება და განზრახულია მათი გაუქმება განჭვრეტად მომავალში.

საანგარიშო გადავადებული საგადასახადო აქტივების საბალანსო ღირებულება ექვემდებარება გადახედვას ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და მცირდება იმდენად, რამდენადაც აღარ არსებობს საკმარისი დასაბეგრი მოგების მოლოდინი, რომელიც გამოყენებული იქნება ყველა აქტივის ან აქტივების ნაწილის აღსადგენად.

გადავადებული გადასახადის აქტივები და ვალდებულებები იანგარიშება იმ საგადასახადო განაკვეთით, რომელიც მოსალოდნელია ვალდებულების გასტუმრების ან აქტივის რეალიზების პერიოდისათვის იმ საგადასახადო განაკვეთის საფუძველზე (საგადასახადო კანონმდებლობა), რომელიც ძალაში შევიდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის.

გადავადებული საგადასახადო ვალდებულებებისა და აქტივების შეფასება ასახავს საგადასახადო შედეგებს, რომლებიც მოყვება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ჯგუფის მიერ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების აღდგენას, ან დაფარვას.

გადავადებული საგადასახადო ვალდებულებებისა და აქტივების შესაფასებლად, საინვესტიციო ქონებისთვის რომლის შეფასება ხდება სამართლიანი ღირებულების მოდელის გამოყენებით, ასეთი ქონების საბალანსო ღირებულების ანაზღაურება, ძირითადად, ხდება მთლიანად გაყიდვის ხარჯზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი დაშვება უარყოფილია. დაშვების უარყოფა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც საინვესტიციო ქონება ამორტიზებას ექვემდებარება და განიხილება ბიზნეს მოდელის ჭრილში, რაც მიზნად ისახავს ამ ქონებიდან მაქსიმალური ეკონომიკური სარგებლის მიღებას ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში და არა გაყიდვის გზით. ჯგუფის ხელმძღვანელობამ განიხილა ჯგუფის საინვესტიციო ქონების პორტფოლიო და მიიღო გადაწყვეტილება, რომ ჯგუფის არცერთი საინვესტიციო ქონება არ იქნება განხილული ბიზნეს მოდელის ჭრილში, რომლის მიზანია ამ ქონებიდან მაქსიმალური ეკონომიკური სარგებლის მიღება ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში და არა გაყიდვის გზით. ამდენად, ჯგუფის ხელმძღვანელობამ განსაზღვრა, რომ არ მოხდება ბასს 12-ის შესწორებებში “საშემოსავლო გადასახადის შესახებ” დაფიქსირებული “გაყიდვის” პრეზუმციის უარყოფა. შესაბამისად, ჯგუფი არ

აღიარებს საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების ცვლილების შედეგად მიღებულ რაიმე გადავადებულ გადასახადს, რამდენადაც ჯგუფს არ ეკისრება საშემოსავლო გადასახადი საკუთარი საინვესტიციო ქონების რეალიზაციიდან.

*წლის მიმდინარე და გადავადებული გადასახადები*

მიმდინარე და გადავადებული გადასახადები აისახება მოგება-ზარალსა და სხვა სრულ შემოსავლებში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის აისახება სხვა სრულ მოგება-ზარალში, ან პირდაპირ კაპიტალში. ასეთ შემთხვევაში მიმდინარე და გადავადებული გადასახადები ასევე აისახება შესაბამისად სხვა სრულ მოგება-ზარალში, ან პირდაპირ კაპიტალში.

*საოპერაციო გადასახადები*

საქართველოს ასევე გააჩნია სხვა გადასახადები, რომლებიც განისაზღვრება ჯგუფის საქმიანობიდან გამომდინარე. ეს გადასახადები მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების კონსოლიდირებულ ანგარიშში აისახება როგორც საოპერაციო ხარჯების ნაწილი.

**რეზერვები**

რეზერვების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფს აქვს მიმდინარე (იურიდიული ან პირობითი) ვალდებულებები, რომლებიც წარმოიშვა წარსული მოვლენების შედეგად და რომელთა დაფარვის მოვალეობა ჯგუფს დაეკისრება და რომლის მოცულობის გაზომვა სარწმუნოდ არის შესაძლებელი.

რეზერვად აღიარებული თანხა წარმოადგენს ანაზღაურების საუკეთესო შეფასებას, რომელიც საჭიროა ვალდებულების დასაფარად ფინანსური მდგომარეობის საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ვალდებულების გარშემო რისკებისა და უზუსტობების არსებობის გათვალისწინებით. იმ შემთხვევაში, თუ რეზერვი გამოითვლება ფულადი სახსრების მოძრაობიდან მათი საბალანსო ღირებულება წარმოადგენს ფულადი სახსრების მიმდინარე ღირებულებას (სადაც არსებითია ფულის ღირებულება დროში).

იმ შემთხვევაში თუ მოსალოდნელია, რომ ყველა ეკონომიკური სარგებელი, რომელიც საჭიროებს რეზერვის ფორმირებას, დაიფარება მესამე მხარის მიერ, მოთხოვნები აისახება აქტივებში, როდესაც კომპენსაცია ნამდვილად სარწმუნოა და მოთხოვნის შეფასება შესაძლებელია საკმარისი სიზუსტით.

**პირობითი ვალდებულებები**

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშში, მაგრამ წარმოდგენილია ანგარიშსწორებისას სახსრების ნებისმიერი გადინების შესაძლებლობის არსებობამდე. პირობითი აქტივი ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშში არ აისახება, მაგრამ წარმოდგენილია იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიკური მოგების მიღებაა ნავარაუდევი.

**უცხოური ვალუტა**

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ჯგუფის ფუნქციონირებადი ვალუტის გარდა სხვა ვალუტაში (უცხოურ ვალუტაში) განხორციელებული გარიგებები აისახება გარიგების თარიღისათვის მოქმედი გაცვლითი კურსით. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული მონეტარული ერთეულები ამ თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით ექვემდებარებიან გადაფასებას. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სამართლიანი ღირებულებით წარმოდგენილი არაფულადი ერთეულები გადაფასებას ექვემდებარება მათი სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის თარიღისათვის არსებული კურსით. არაფულადი

ერთეულები უცხოურ ვალუტაში რომლებიც შეფასებულია ისტორიული ღირებულებით არ ექვემდებარებიან გადაფასებას.

ჯგუფმა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოიყენა შემდეგი გაცვლითი კურსები:

| | დეკემბერი 31, 2013 | დეკემბერი 31, 2012 |
|---|---|---|
| ლარი/1 აშშ დოლარი | 1.7363 | 1.6567 |
| ლარი/1 ევრო | 2.3891 | 2.1825 |

**უზრუნველყოფა**

ჯგუფი უზრუნველყოფას ითხოვს კლიენტების ვალდებულებებზე, თუ ეს ითვლება მართებულად. ჩვეულებრივ უზრუნველყოფა გულისხმობს კლიენტის აქტივების დაყადაღების უფლება რაც ჯგუფს აძლევს ამ აქტივების მოთხოვნის უფლებას, როგორც არსებულ, ასევე მომავალ ვალდებულებებთან მიმართებაში.

## 3. ხელმძღვანელობის განსჯის სფეროები და შეფასებების არასარწმუნოობის წყარო

ჯგუფის ბუღალტრული პოლიტიკის გამოყენებისას, რომელიც აღწერილია მე-2 შენიშვნაში, ხელმძღვანელობა ვალდებულია განიხილოს, შეაფასოს და გააკეთოს დაშვებები აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებასთან დაკავშირებით, რომლებიც სხვა წყაროებიდან არ იკვეთება. ხელმძღვანელობის შეფასება და შესაბამისი დაშვებები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც მართებულად ითვლება. ფაქტიური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისგან.

შეფასებები და შესაბამისი დაშვებები ფასდება საწარმოს უწყვეტობის დაშვების პრინციპით. ბუღალტრული შეფასებების შესწორება აღიარებას ექვემდებარება იმ პერიოდისათვის, როდესაც ხდება შესწორება, თუ შესწორება ეხება მხოლოდ ამ პერიოდს, ხოლო იმ შემთხვევაში თუ იგი ეხება მიმდინარე და მომავალ პერიოდებს შესაბამისად შესწორება მოხდება მიმდინარე და შემდგომ პერიოდებში.

*ბუღალტრული პოლიტიკის გამოყენებისას გაკეთებული კრიტიკული დაშვებები*

ქვემოთ წარმოდგენილია კრიტიკული განსჯა (იხილეთ ქვემოთ), იმ დაშვებების გარდა, რომლებიც ხელმძღვანელობამ გააკეთა ჯგუფის ბუღალტრული პოლიტიკების გამოყენების პროცესში და რომელთაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებზე.

*დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები*

ჯგუფის ხელმძღვანელობამ განიხილა ჯგუფის დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები კაპიტალის შენარჩუნებისა და ლიკვიდობის მოთხოვნების ჭრილში და დაადასტურა, რომ ჯგუფს გააჩნია განზრახვა და უნარი ფლობდეს მათ დაფარვის ვადამდე. 2013 და 2012 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება შესაბამისად შეადგენს 5,946 ათას ლარს და ნულ ლარს. ამ აქტივების შესახებ დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია მე-17 შენიშვნაში.

*შეფასებების არასარწმუნოობის უმთავრესი წყაროები*

ქვემოთ წარმოდგენილია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შეფასების არასარწმუნოობის მომავალ და სხვა ძირითად წყაროებთან დაკავშირებული შემდეგი უმთავრესი დაშვებები, რომლებიც ატარებს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების არსებითი კორექტირების მნიშვნელოვან რისკს მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში.

*სესხებისა და მოთხოვნების გაუფასურება*

ჯგუფი რეგულარულად განიხილავს საკუთარ სესხებსა და მოთხოვნებს გაუფასურების შეფასების მიზნით. გაუფასურების დანაკარგების აღიარების მიზნით ჯგუფი საკუთარი სესხებისა და მოთხოვნების პორტფელში ადგენს სესხების გაუფასურების რეზერვს. ჯგუფი სესხების გაუფასურების რეზერვთან დაკავშირებულ ბუღალტრულ დაშვებებს მიიჩნევს შეუსაბამობის მთავარ წყაროდ, რადგან (I) არსებობს დიდი ალბათობა მათი პერიოდული ცვლილებისა, იმის გამო რომ მომავალი გადაუხდელობის შეფასება და გაუფასურებულ სესხებთან და ავანსებთან დაკავშირებული დანაკარგების განსაზღვრა დაფუძნებულია იმ პერიოდისთვის არსებულ ინფორმაციაზე და (II) ჯგუფის მიერ განსაზღვრულ დანაკარგებსა და რეალურ დანაკარგებს შორის ნებისმიერი მნიშვნელოვანი სხვაობა გამოიწვევს ჯგუფის მხრიდან რეზერვების ისეთ კორექტირებას, რომელმაც მნიშვნელოვანი თანხის შემთხვევაში შეიძლება არსებითი გავლენა იქონიოს მომავალ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ჯგუფის ხელმძღვანელობა ეყრდნობა პროფესიულ განსჯას ნებისმიერი გაუფასურების დასადგენად იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი ფინანსური პრობლემების წინაშე აღმოჩნდა და ისტორიული გამოცდილების მონაცემები მსგავსი მსესხებლების შესახებ მწირია. ჯგუფი ფულადი სახსრების მოძრაობაში ცვლილებებს განსაზღვრავს წინა პერიოდის გამოცდილებაზე და ხელმისაწვდომ მონაცემებზე დაყრდნობით, რომლებიც მიუთითებს უარყოფით ცვლილებებზე ჯგუფში შემავალი მსესხებლის გადახდისუნარიანობის და ადგილობრივი ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით, რომლებიც უკავშირდება ჯგუფში შემავალი აქტივების ამოღების შესაძლებლობის არ არსებობას. ხელმძღვანელობა იყენებს დაშვებებს იმ აქტივების ისტორიულ დანაკარგებზე დაყრდნობით, რომელთა საკრედიტო რისკების მახასიათებლები და გაუფასურების ობიექტური მაჩვენებლები მსგავსია სესხების მოცემული ჯგუფისათვის. ჯგუფი ხელმძღვანელობის პროფესიულ განსჯას იყენებს და აკორექტირებს სესხების ჯგუფის შესახებ არსებულ მონაცემებს იმ მიმდინარე გარემოებების გათვალისწინებით, რომლებიც აქამდე არ ასახულა ისტორიულ მონაცემებში.

ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვი კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში განისაზღვრა არსებული ეკონომიკური და პოლიტიკური პირობების საფუძველზე. ჯგუფისათვის ამ ეტაპზე რთულია იმის პროგნოზი თუ რა ცვლილებებია მოსალოდნელი ამ პირობებში საქართველოში და რა გავლენა ექნება მომავალ პერიოდში ამ ცვილებებს ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის ადექვატურობაზე.

2013 და 2012 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კლიენტებზე გაცემულმა სესხებმა მთლიანად შეადგინა 431,732 და 280,845 ათასი ლარი შესაბამისად, ხოლო გაუფასურების დანაკარგების რეზერვმა შეადგინა 35,435 და 18,697 ათასი ლარი შესაბამისად.

*ფინანსური ინსტრუმენტების შეფასება*

ჯგუფი იყენებს შეფასების მეთოდებს, რომლებიც მოიცავს პირობებს, რომლებიც გარკვეული ტიპის ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების დადგენისას არ ეფუძნება არსებულ საბაზრო თარიღს, როგორც აღწერილია 28-ე შენიშვნაში. შენიშვნა 28 წარმოადგენს დეტალურ ინფორმაციას ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების დადგენისას გამოყენებული უმთავრესი დაშვებების შესახებ და მათი მგრძნობიარობის ანალიზს. ჯგუფის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შეფასების შერჩეული მეთოდები და დაშვებები მართებულია ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების დადგენისათვის.

*ძირითადი საშუალებების სასარგებლო მოხმარების პერიოდი*

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია ისტორიული ღირებულებით დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების დანაკარგების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მოხმარების პერიოდის დადგენა წარმოადგენს ხელმძღვანელობის მსჯელობის საგანს მსგავს აქტივებთან არსებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით. ძირითადი საშუალების სასარგებლო მოხმარების პერიოდის დადგენისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს

მოსალოდნელი მოხმარების, სავარაუდო ტექნიკური მოძველების, ფიზიკური მოხმარებისა და ცვეთის და აქტივის ფიზიკურ საოპერაციო გარემოს პარამეტრების. ცვლილებამ რომელიმე ერთ პირობაში ან შეფასებაში შეიძლება გამოიწვიოს ცვეთის მომავალი განაკვეთის კორექტირება.

*გადავადებული საგადასახადო აქტივების აღდგენა*

ჯგუფის ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ აუცილებელი არ არის გადავადებული საგადასახადო აქტივების რეზერვის შექმნა საანგარიშგებო თარიღისათვის, ვინაიდან სავარაუდოდ მოხდება გადავადებული საგადასახადო აქტივების სრული აღდგენა. გადავადებული საგადასახადო აქტივების საბალანსო ღირებულებამ 2013 და 2012 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შესაბამისად შეადგინა 249 ათასი და 9,429 ათასი ლარი.

## 4. ახალი და რედაქტირებული ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) მიღება

**ფასს-ის ცვლილებები რომლებმაც გავლენა იქონია ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებზე**

ქვემოთხსენებული ცვლილებები მიღებულ იქნა მიმდინარე წელს და გავლენა იქონია მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებზე.

**ახალი და შესწორებული სტანდარტები კონსოლიდაციის, ერთიან საქმიანობაზე შეთანხმების, მეკავშირე საწარმოებისა და განმარტებების შესახებ**

2011 წლის 1 მაისს გამოიცა ხუთი სტანდარტი კონსოლიდაციის, ერთიან საქმიანობაზე შეთანხმების, მეკავშირე საწარმოებისა და წარდგენების შესახებ, რომელიც, ასევე, მოიცავს ფასს 10 *„კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება"*, ფასს 11 *"ერთობლივი საწარმოები"* ფასს 12 "*სხვა პირებში არსებული წილის განმარტება*", ბასს 27 *"ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება*" (შეიცვალა 2011წ.), ბასს 28 *"ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში*" (შეიცვალა 2011 წ.). აღნიშნული სტანდარტების შემდგომი გამოშვება, შესწორებები ფასს-ებში 10, 11 და 12 მიზნად ისახავდა სტანდარტების თავდაპირველი გამოყენების გარდამავალი ინსტრუქციების განმარტებას. სტანდარტები ფასს 10, ფასს 11, ფასს 12 და ბასს 28 (2011 წ. რედაქციით), ასევე შესწორებები სტანდარტებში ფასს 10, ფასს 11 და ფასს 12 გარდამავალი ინსტრუქციების თაობაზე და ბასს 27 (2011 წ. რედაქციით) ჯგუფზე არ ვრცელდება, რადგან მხოლოდ დამოუკიდებელ ფინანსურ ანგარიშგებას არეგულირებს.

აღნიშნული სტანდარტების გამოყენებას ფინანსურ ანგარიშგებაზე ზეგავლენა არ მოუხდენია.

***ფასს 10 "კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების"*** – ანაცვლებს ბასს 27-ის ("კონსოლიდირებული და დამოუკიდებელი ფინანსური ანგარიშგება") იმ ნაწილს, რომელიც კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას ეხება, ასევე და იმკ 12-ის ("კონსოლიდირება - საგანგებო დანიშნულების საწარმოები"). ფასს 10-ის მიხედვით, კონტროლის ერთიანი განმარტება, რომელსაც თან ახლავს გამოყენების ყოვლისმომცველი ინსტრუქცია, ეფუძნება შემდეგს: ა)აქვს თუ არა ინვესტორს გავლენა ინვესტიციის მიმღებზე; b) განიცდის თუ არა ინვესტორი ინვესტიციის მიმღებში ჩადებული ინვესტიციიდან მიღებულ ცვალებად მოგების ზეგავლენას ან აქვს თუ არა უფლებები ამ მოგებაზე და გ) აქვს თუ არა შესაძლებლობა ინვესტორს, გამოიყენოს გავლენა ინვესტიციის მიმღებზე მოგების მოცულობაზე ეფექტის მოსახდენად. შესწორებამდე კონტროლი განისაზღვრებოდა, როგორც კომპანიის ძალაუფლება, ემართა რომელიმე საწარმოს ფინანსური და საოპერაციო პოლიტიკა მისი საქმიანობიდან სარგებლის მიღების მიზნით. ფასს 10-ს დაემატა დამატებითი ინსტრუქცია იმის ასახსნელად, თუ როდის გაჩნია ინვესტორს კონტროლი ინვესტირების ობიექტზე.

ჯგუფზე ვრცელდება ფასს 10-ში მოცემული ის დებულებები, რომლებიც ეხება იმის განსაზღვრას, აქვს თუ არა ინვესტირების ობიექტში 50%-ზე ნაკლები ხმის უფლების მქონე ინვესტორს კონტროლი ამ ობიექტზე.

***შესწორება სტანდარტში ფასს 7 "ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტება".*** აღნიშნული შესწორებით გაიზარდა განმარტების ვალდებულება ფინანსური აქტივების გადაცემასთან დაკავშირებულ გარიგებებზე. მისი მიზანია ფინანსური აქტივების გადაცემისას რისკდამოკიდებულებასთან დაკავშირებით მეტი გამჭვირვალეობის შექმნა.

მიმდინარე წელს ჯგუფს სხვა პირისათვის არ გადაუცია რაიმე ფინანსური აქტივები, რაც გამოიწვევდა აღნიშნული შესწორების გამოყენების აუცილებლობასა და მეტი განმარტების გაკეთების ვალდებულებას გადაცემულ აქტივებთან მიმართებაში.

***შესწორება ბასს 1-ში "ფინანსური ანგარიშგების წარმოდგენა" (2011 წ. ივნისი).***
ბანკმა ძალაში შესვლამდე (2012 წ. 1 ივლისს დაწყებული ან შემდგომი პერიოდები), წინასწარ გამოიყენა ბასს 1-ის შესწორება "სხვა სრული შემოსავლების ერთეულების წარმოდგენა", რომლის მიხედვით, პირს ევალება, გაზარდოს განმარტების ხარისხი სრული შემოსავლების უწყისში მოცემულ ინფორმაციასთან დაკავშირებით.

აღნიშნული შესწორების მიხედვით, სხვა სრული შემოსავლების უწყისში მოცემული ერთეულები უნდა დაიყოს იმ ერთეულებად, რომელთა შემდგომი რეკლასიფიცირება მოგება-ზარალში არ მოხდება და იმ ერთეულებად, რომელთა შემდგომი რეკლასიფიცირება მოგება-ზარალში მოხდება, იმ შესაბამისი ფასს-ის მიხედვით, რომელთანაც აღნიშნული ერთეულია დაკავშირებული.

ბასს 1-ის აღნიშნული შესწორების გამოყენება არ იწვევს ჯგუფის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების უწყისის ცვლილებას.

***ფასს 13 "სამართლიანი ღირებულების გაზომვა".*** ჯგუფმა ფასს 13 პირველად მიმდინარე წელს გამოიყენა. ეს სტანდარტი ერთიან ინსტრუქციას გვთავაზობს სამართლიანი ღირებულების გაზომვისა და ამ პროცესის განმარტებასთან დაკავშირებით. სტანდარტის მოქმედების სპექტრი ფართოა: მისი მოთხოვნები თანაბრად ვრცელდება როგორც საფინანსო, აგრეთვე არასაფინანსო ინსტრუმენტებზე, რომელთა შემთხვევაშიც, სხვა ფასს-ების მიხედვით, სამართლიანი ღირებულების გაზომვა და ამ პროცესის განმარტება აუცილებელი ან ნებადართულია. აღნიშნული არ ეხება აქციაზე დაფუძნებული გადახდის ტრანსაქციებს, რომლებსაც ფასს 2 "აქციებზე დაფუძნებული გადახდა" არეგულირებს, საიჯარო ტრანსაქციებს, რომლებიც ბასს 27-ით "იჯარა" რეგულირდება და გაზომვის იმ შემთხვევებს, რომლებიც სამართლიანი ღირებულების მსგავსია, თუმცა, ასეთს არ წარმოადგენს (მაგ. წმინდა რეალიზებადი ღირებულება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაზომვის შემთხვევაში, ან ის ღირებულება, რომელიც გაუფასურების შეფასებისას გამოიყენება).

ფასს 13 სამართლიან ღირებულებას განსაზღვრავს, როგორც ფასს, რომელსაც პირი მიიღებდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების გადასაცემად ჩვეულებრივ ტრანსაქციაში ძირითად (ან საუკეთესო ბაზარზე) გაზომვის დღეს მიმდინარე საბაზრო პირობებში. ფასს 13-ის მიხედვით, სამართლიანი ღირებულება არის გასვლის ფასი იმის მიუხედავად, მასზე დაკვირვება პირდაპირ შეიძლება თუ იგი შეფასების სხვა ტექნიკით დგინდება. გარდა ამისა, ფასს 13 განმარტების ვრცელ მოთხოვნებსაც მოიცავს.

ფასს 13 ის მიხედვით, 2013 წ. 1 იანვრიდან იგი პროსპექტიულად უნდა იქნას გამოყენებული. გარდა ამისა, მასში შედის კონკრეტული გარდამავალი დებულებები, რომელთა მიხედვით, განმარტება სტანდარტის პირველ გამოყენებამდე დასრულებულ პერიოდებზე წარმოდგენილ ინფორმაციაზე სავალდებულო არ არის. ფასს 13-ის ამოქმედებას წარმოდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე არსებითი ზეგავლენა არ მოუხდენია.

***შესწორება ბასს 1-ში "ფინანსური ანგარიშგების წარმოდგენა"*** **(2009-2011 წწ ფასს-ების წლიური გაუმჯობესების პროგრამის ნაწილი. გამოქვეყნდა 2012 წ. მაისში)**

ფასს-ების წლიური გაუმჯობესების 2009-2011 წწ ციკლში მოცემულია ფასს-ების რამდენიმე შესწორება. მათგან ბანკზე ვრცელდება ბასს 1-ის რედაქცია იმ ნაწილში, რომელიც წინა პერიოდის დასაწყისისათვის ფინანსური მდგომარეობის უწყისისა (ფინანსური მდგომარეობის მესამე უწყისი) და შესაბამისი შენიშვნების წარმოდგენის ვადებს ეხება. შესწორებების მიხედვით, ფინანსური მდგომარეობის მესამე უწყისის მომზადება საჭიროა, როდესაც (ა) პირი სააღრიცხვო პოლიტიკას რეტროსპექტიულად იყენებს, ან რეტროსპექტიულად აკეთებს ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული კომპონენტის რეკლასიფიცირებას ან ხელახალ აღიარებას და, (ბ) რეტროსპექტიულ გამოყენებას, ხელახალ აღიარებასა თუ რეკლასიფიცირებას არსებითი ზეგავლენა აქვს ფინანსური მდგომარეობის მესამე უწყისში მოცემულ ინფორმაციაზე. შესწორებების მიხედვით, მესამე უწყისში შენიშვნების ჩართვა სავალდებულო არ არის.

**ახალი და რედაქტირებული, გამოქვეყნებული, მაგრამ ძალაში ჯერ არშესული ფასს-ები**

ბანკი არ იყენებს შემდეგ ახალ და რედაქტირებულ, გამოქვეყნებულ მაგრამ ძალაში ჯერ არშესულ ფასს-ებს:
ფასს 9 "ფინანსური ინსტრუმენტები"
შესწორება ფასს-ში 9 და ფასს-ში 7: "ფასს 9-ის ძალაში სავალდებულო შესვლის თარიღი და გარდამავალი განმარტებები".[2]
შესწორება ფასს-ში 10, ფასს-ში 12 და ბასს-ში 27 "საინვესტიციო კომპანიები"[1]
შესწორება ბასს-ში 32 "ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ურთიერთჩათვლა"[1]

[1] ძალაშია 2014 წ. 1 იანვარს ან მანამდე დაწყებული წლიური პერიოდისათვის, ადრეული გამოყენება დაშვებულია.
[2] ძალაშია 2015 წ. 1 იანვარს და მანამდე დაწყებულ წლიურ პერიოდებში, ადრეული გამოყენება დაშვებულია.

***ფასს 9 "ფინანსური ინსტრუმენტები".*** 2009 წ. ნოემბერში გამოქვეყნებული ფასს 9 ახალ მოთხოვნებს აწესებს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისა და გაზომვის თვალსაზრისით. 2010 წ. ოქტომბერში ფასს-ში 9 შევიდა შესწორება, რომელით ითვალისწინებს მოთხოვნებს ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციის, გაზომვისა და აღიარების გაუქმების თვალსაზრისით.

ფასს 9-ის ძირითადი მოთხოვნები:

- პირი ვალდებულია, ყველა აღიარებული ფინანსური აქტივი, რომელიც ბასს 39-ის "ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და გაზომვა" თვალთახედვაში ექცევა, შემდგომში გაზომოს ამორტიზებული ან სამართლიანი ღირებულებით. კერძოდ, სავალო ინვესტიციები, რომლებსაც პირი ფლობის ისეთი ბიზნეს მოდელით, რომლის მიზანი საკონტრაქტო ფულადი სახსრების შეკრებაა და რომელთა საკონტრაქტო ფულადი სახსრები მხოლოდ ძირითადი თანხისა და მის დარჩენილ ნაწილზე დარიცხულ პროცენტს მოიცავს, შემდგომი საანგარიშო პერიოდების ბოლოს გაიზომოს ამორტიზებული ღირებულებით. ყველა სხვა სავალო ინვესტიცია და ინვესტიცია კაპიტალში შემდგომი საანგარიშო პერიოდის ბოლოს იზომება სამართლიანი ღირებულებით. გარდა ამისა, ფასს 9-ის მიხედვით, პირს შეუძლია შეუქცევადად წარმოადგინოს კაპიტალში ინვესტიციის (არა სავაჭროდ განკუთვნილისა) სამართლიანი ღირებულების რეტროსპექიული ცვლილებები და მოგება-ზარალსა და სხვა სრულ შემოსავლებში მხოლოდ დივიდენდური შემოსავლები ასახოს.
- მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით დაფიქსირებული ფინანსური ვალდებულებების გაზომვასთან დაკავშირებით, ფასს 9 ითხოვს, რომ ამ ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებით გამოწვეული სამართლიანი ღირებულების ცვლილების ოდენობა წარმოდგენილი იქნეს სხვა სრულ შემოსავლებში,

თუ ვალდეულების საკრედიტო რისკის ცვლილების შედეგების აღიარება სხვა სრულ შემოსავლებში საბუღალტრო შეუსაბამობას შექმნის ან გაზრდის მოგება-ზარალში. ფინანსური ვალდებულების საკრედიტო რისკით გამოწვეული სამართლიანი ღირებულების ცვლილება შემდგომში მოგება-ზარალში არ რეკლასიფიცირდება. ბასს 39-ის მიხედვით, ფინანსური ვალდებულების მოგება-ზარალში დაფიქსირებული სამართლიანი ღირებულების ცვლილების მთლიანი ოდენობა მოგება-ზარალში აისახოს.

ბანკის ხელმძღვანელობის პროგნოზით, მომავალში ფასს 9-ის გამოყენებამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონიოს ბანკის ფინანსურ აქტივებთან და ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებით ნაჩვენებ თანხებზე (მაგ. ჯგუფის ინვესტიციები განაღდებად ხელწერილებში, რომლებიც ამჟამად კლასიფიცირდება, როგორც გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები, მომავალში, შემდგომი საანგარიშო პერიოდების ბოლოს გაიზომება სამართლიანი ღირებულებით. ხოლო სამართლიანი ღირებულების ცვლილება აღიარდება მოგება-ზარალსა და სხვა სრულ შემოსავლებში). თუმცა, დეტალური შემოწმების გარეშე ფასს 9-ის ეფექტზე ადეკვატური მსჯელობა არაგონივრული იქნებოდა.

***შესწორებები ბასს-ში 32 "ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ურთიერთჩათვლა".*** ბასს 32-ის შესწორება განმარტავს ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ურთიერთჩათვლასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს. კერძოდ, შესწორება გვიხსნის, თუ რა იგულისხმება ფრაზებში "ამჟამად გააჩნია ურთიერთჩათვლის სამართლებრივად აღსრულებადი უფლება" და "ერთდროული რეალიზაცია და ანგარიშსწორება".

ბანკის ხელმძღვანელობის აზრით, ბასს 32-ის ამ შესწორებების ამოქმედება არ იქონიებს მნიშვნელოვან ზეგავლენას ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაზე, რადგან ბანკს ურთიერთჩასათვლელი ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები არ გააჩნია.

## 5. წმინდა საპროცენტო შემოსავალი

| | 2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის | 2012 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის |
|---|---|---|
| **საპროცენტო შემოსავალი მოიცავს:** | | |
| ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები: | | |
| გაუფასურებული ფინანსური აქტივები | 67,362 | 36,003 |
| ფინანსური აქტივები, რომლებიც არ არის გაუფასურებული | 2,000 | 1,909 |
| **სულ საპროცენტო შემოსავალი** | **69,362** | **37,912** |
| საპროცენტო შემოსავალი ამორტიზებული ღირებულებით ასახულ ფინანსურ აქტივებზე: | | |
| კლიენტებზე გაცემულ სესხები | 68,502 | 36,960 |
| ბანკების მიმართ მოთხოვნები | 825 | 791 |
| საპროცენტო შემოსავალი დაფარვის ვადამდე ფლობილ ინვესტიციებზე | 35 | 161 |
| **სულ საპროცენტო შემოსავალი ამორტიზებული ღირებულებით ასახულ ფინანსურ აქტივებზე** | **69,362** | **37,912** |
| **საპროცენტო ხარჯი მოიცავს:** | | |
| საპროცენტო ხარჯი ამორტიზებული ღირებულებით ასახულ ფინანსურ აქტივებზე | (10,579) | (8,609) |
| **სულ საპროცენტო ხარჯი** | **(10,579)** | **(8,609)** |
| საპროცენტო ხარჯი ამორტიზებული ღირებულებით ასახულ ფინანსურ ვალდებულებებზე მოიცავს: | | |
| სუბორდინირებულ სესხზე | (3,834) | (5,671) |
| კლიენტების ანგარიშებზე | (6,392) | (1,555) |
| ბანკების მიმართ ვალდებულებებზე | (353) | (943) |
| სხვა მოზიდულ სახსრებზე | - | (440) |
| **სულ საპროცენტო ხარჯი ამორტიზებული ღირებულებით ასახულ ფინანსურ ვალდებულებებზე** | **(10,579)** | **(8,609)** |
| **წმინდა საპროცენტო შემოსავალი საპროცენტო სარგებლის მქონე ფინანსურ აქტივებზე გაუფასურების დანაკარგების რეზერვის აღდგენამდე/(ხარჯამდე)** | **58,783** | **29,303** |

## 6. გაუფასურების დანაკარგებისა და სხვა რეზერვები

გაუფასურების დანაკარგების რეზერვის მოძრაობა საპროცენტო შემოსავლის მქონე აქტივებზე მოიცავს:

| | კლიენტებზე გაცემული სესხები |
|---|---|
| **იანვარი 1, 2012** | **132,747** |
| რეზერვის დამატებითი ხარჯის აღიარება | (2,907) |
| აქტივების ჩამოწერა | (111,143) |
| **დეკემბერი 31, 2012** | **18,697** |
| რეზერვის ხარჯის აღდგენა | (39,218) |
| აქტივების ჩამოწერა | (8,720) |
| ჩამოწერილი აქტივების აღდგენა | 66,676 |
| **დეკემბერი 31, 2013** | **35,435** |

სხვა რეზერვების მოძრაობა შეადგენს:

| | სხვა აქტივები | გარანტიები | სულ |
|---|---|---|---|
| **იანვარი 1, 2012** | **-** | **384** | **384** |
| რეზერვის აღდგენა | - | | (56) |
| **დეკემბერი 31, 2012** | **-** | **328** | **328** |
| დამატებითი რეზერვის ხარჯის აღიარება | 3,559 | 69 | 3,627 |
| რეზერვის ხარჯის აღდგენა | (29) | - | (29) |
| **დეკემბერი 31, 2013** | **3,530** | **397** | **3,927** |

## 7. წმინდა მოგება/(ზარალი) მოგებასა და ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახულ ფინანსურ აქტივებზე

წმინდა მოგება/(ზარალი) მოგებასა და ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახულ ფინანსურ აქტივებზე შეადგენს:

| | 2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის | 2012 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის |
|---|---|---|
| წმინდა მოგება/(ზარალი) მოგებასა და ზარალში თავდაპირველად რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივებით განხორციელებულ ოპერაციებზე შეადგენს: | | |
| რეალიზებული მოგება სავაჭრო ოპერაციებზე | 51,439 | 23,406 |
| რეალიზებული ზარალი სავაჭრო ოპერაციებზე | (39,664) | (24,491) |
| **სულ წმინდა მოგება/(ზარალი) მოგებასა და ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივებით განხორციელებულ ოპერაციებზე** | **11,775** | **(1,085)** |

## 8. წმინდა მოგება უცხოური ვალუტით განხორციელებულ ოპერაციებზე

წმინდა მოგება უცხოური ვალუტით განხორციელებულ ოპერაციებზე მოიცავს:

| | 2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის | 2012 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის |
|---|---|---|
| კონვერტაცია, წმინდა | 2,914 | 2,100 |
| არარეალიზებული საკურსო სხვაობა, წმინდა | 1,173 | 209 |
| **სულ წმინდა მოგება უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციებზე** | **4,087** | **2,309** |

## 9. საკომისიო შემოსავლები და ხარჯები

საკომისიო შემოსავლები და ხარჯები მოიცავს:

| | 2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის | 2012 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის |
|---|---|---|
| **საკომისიო შემოსავლები:** | | |
| ოპერაციები პლასტიკური ბარათებით | 2,124 | 1,791 |
| ანგარიშსწორება | 790 | 716 |
| დოკუმენტური ოპერაციები | 555 | 543 |
| ნაღდ ფულთან დაკავშირებული ოპერაციები | 341 | 218 |
| უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციები | - | 1 |
| სხვა | 93 | 17 |
| **სულ საკომისიო შემოსავლები** | **3,903** | **3,286** |
| **საკომისიო ხარჯები:** | | |
| პლასტიკური ბარათებით მომსახურება | (2,268) | (1,786) |
| დოკუმენტური ოპერაციები | (395) | (395) |
| ანგარიშსწორება | (236) | (196) |
| აკრედიტივები | (543) | (26) |
| ნაღდ ფულთან დაკავშირებული ოპერაციები | - | (12) |
| სხვა | (72) | (41) |
| **სულ საკომისიო ხარჯები** | **(3,514)** | **(2,456)** |

## 10. სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი მოიცავს:

| | 2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის | 2012 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის |
|---|---|---|
| დაზღვევის პრემია | (1,380) | (2,036) |
| შემოსავალი დასაკუთრებული აქტივების რეალიზაციიდან | 834 | 5 |
| მიღებული ჯარიმები და საურავები | 165 | 18 |
| იურიდიული შემოსავალი | - | 73 |
| სხვა | 1,096 | 817 |
| **სულ სხვა შემოსავალი/(ხარჯი)** | **715** | **(1,123)** |

## 11. საოპერაციო ხარჯები

საოპერაციო ხარჯები მოიცავს:

| | 2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის | 2012 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის |
|---|---|---|
| ქველმოქმედება და სპონსორობა | 9,737 | 26 |
| ხელფასები და პრემიები | 8,824 | 9,208 |
| საოპერაციო იჯარა | 1,741 | 1,641 |
| ცვეთა და ამორტიზაცია | 1,572 | 1,518 |
| კომუნიკაციის ხარჯები | 847 | 868 |
| დაცვის ხარჯები | 708 | 670 |
| საფოსტო ხარჯები | 353 | 343 |
| ძირითადი საშუალებების შეკეთების ხარჯები | 282 | 85 |
| პროფესიული მომსახურება | 271 | 361 |
| გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა | 245 | 160 |
| კომუნალური ხარჯები | 202 | 213 |
| სარეკლამო ხარჯები | 147 | 311 |
| წარმომადგენლობითი ხარჯები | 130 | 87 |
| მივლინების ხარჯები | 75 | 53 |
| ტრეინინგის ხარჯები | 37 | 13 |

- საკრედიტო რისკს
- ლიკვიდობის რისკს
- საბაზრო რისკს

ჯგუფი აღიარებს, რომ რისკის ეფექტური მართვის პროცესების არსებობა მნიშვნელოვანია. ამისათვის ჯგუფმა დაადგინა რისკის მართვის გარემო, რომლის უმთავრესი მიზანია ჯგუფი დაიცვას რისკისაგან და საშუალება მისცეს მიაღწიოს საკუთარ მიზნებს. რისკის მართვის გარემოს საშუალებით ჯგუფი ახორციელებს შემდეგი სახის რისკების მართვას:

**საკრედიტო რისკი**

ჯგუფი ექვემდებარება საკრედიტო რისკს, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებული რომელიმე მხარე ვერ შეძლებს დაკისრებული ვალდებულების შესრულებას, რის შედეგადაც მეორე მხარეს მიადგება ფინანსური ზარალი.

რისკის მართვა და მონიტორინგი ხორციელდება მმართველი ორგანოს მიერ დაწესებულ ლიმიტებში. ეს პროცესები სრულდება საკრედიტო კომიტეტის და ჯგუფის ხელმძღვანელთა საბჭოს მიერ. საკრედიტო კომიტეტის მიერ ნებისმიერი განაცხადის გაკეთებამდე საკრედიტო პროცესებთან დაკავშირებული ყველა რეკომენდაცია (მსესხებლისათვის ლიმიტების დამტკიცება, ან ცვლილებების შეტანა სესხის ხელშეკრულებებში და სხვა) განიხილება და მტკიცდება სერვის ცენტრის რისკების ხელმძღვანელის ან რისკების მართვის განყოფილების მიერ. ყოველდღიური რისკის მართვას ახორციელებს საკრედიტო განყოფილების უფროსი და სერვის ცენტრის საკრედიტო განყოფილება.

ერთ მსესხებელზე და მსესხებელთა ჯგუფზე გასაცემი მაქსიმალური თანხის განსაზღვრის მიზნით, ჯგუფის დირექტორთა საბჭოს მიერ მტკიცდება მისაღები საკრედიტო რისკის დონე, აგრეთვე ლიმიტები საკრედიტო რისკის დონეზე მსესხებლის, ან პროდუქტის მიხედვით (მრეწველობის დარგების) და რეგიონის მიხედვით. თითოეულ მსესხებელზე გასაცემი მაქსიმალური თანხის ოდენობა ექვემდებარება მონიტორინგს ყოველი ახალი სესხის გაცემისას. საკრედიტო ლიმიტების ცვლილების ინიცირება შეუძლია საკრედიტო კომიტეტს, რაც სამეთვალყურეო საბჭოს მხრიდან დამტკიცებას საჭიროებს. ლიმიტების მონიტორინგი ყოველდღიურად ხორციელდება.

სესხების უმეტეს შემთხვევაში ჯგუფი საჭიროებისამებრ იღებს სესხის უზრუნველყოფას, ან კორპორატიულ ან ინდივიდუალურ გარანტიებს. სესხების მნიშვნელოვან ნაწილს ინდივიდუალური სესხები წარმოადგენს, სადაც არ არსებობს აღნიშნული სახის გირაო. ამგვარი რისკები ექვემდებარება მუდმივ მონიტორინგს და ყოველწლიურ ან უფრო ხშირ გადახედვას.

კრედიტის გაცემის ვალდებულება წარმოადგენს სესხების, გარანტიების ან აკრედიტივების სახით გასაცემი კრედიტის გამოუყენებელ ნაწილს. გარე-საბალანსო ფინანსური ინსტრუმენტების საკრედიტო რისკი განიმარტება, როგორც კონტრაგენტის მხრიდან საკონტრაქტო ვალდებულებების შეუსრულებლობასთან დაკავშირებული შესაძლო დანაკარგი. რაც შეეხება შესაძლო სასესხო ვალდებულებებთან დაკავშირებულ საკრედიტო რისკს, ჯგუფმა შესაძლოა განიცადოს გამოუყენებელი სესხის თანხის შესაბამისი ზარალი. მიუხედავად ამისა, ზარალის სავარაუდო თანხა ნაკლებია მთლიან გამოუყენებელ თანხაზე, ვინაიდან შესაძლო სასეხო ვალდებულება პირობითია კლიენტის მხრიდან სპეციფიური საკრედიტო სტანდარტების დაცვის შესაბამისად. ჯგუფი იყენებს იგივე საკრედიტო პოლიტიკას პირობით ვალდებულებებთან მიმართებაში, როგორსაც ბალანსში ასახულ ფინანსურ ინსტრუმენტებთან მიმართებაში, რაც ითვალისწინებს გარკვეული პროცედურების განხორციელებას სესხის დამტკიცების მიზნებისათვის, მათ შორის ლიმიტების გამოყენებას რისკის შესამცირებლად და მიმდინარე მონიტორინგს. ჯგუფი აკონტროლებს საკრედიტო ვალდებულებების ვადიანობას, ვინაიდან გრძელვადიან ვალდებულებებს როგორც წესი გააჩნია უფრო დიდი საკრედიტო რისკი, ვიდრე მოკლევადიან ვალდებულებებს.

***საკრედიტო რისკისადმი დამოკიდებულების მაქსიმალური ოდენობა***

ჯგუფის მაქსიმალური დაქვემდებარება საკრედიტო რისკის მიმართ ცვალებადია და დამოკიდებულია როგორც ინდივიდუალურ რისკებზე, ასევე საბაზრო ეკონომიკასთან დაკავშირებულ ზოგად რისკებზე.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს საბალანსო და გარე-საბალანსო აქტივების მაქსიმალური საკრედიტო რისკისადმი დაქვემდებარებას. ბალანსში ფინანსურ აქტივებზე მაქსიმალური დაქვემდებარება უტოლდება აქტივების საბალანსო ღირებულებას გაქვითვამდე და უზრუნველყოფამდე. ჯგუფის მაქსიმალური დაქვემდებარება საკრედიტო რისკისადმი იმ შემთხვევაში თუ უზრუნველყოფა და ფასიანი ქაღალდები გაუფასურებულია და პირობითი

ვალდებულებები, ან კრედიტის გაცემის ვალდებულება არ სრულდება, წარმოდგენილია ამ ინსტრუმენტების კონტრაქტით გათვალისიწინებული ღირებულებით.

| | მაქსიმალური დაქვემდებარება | |
|---|---|---|
| | დეკემბერი 31, 2013 | დეკემბერი 31, 2012 |
| მოგებასა და ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები | 23,785 | 10,845 |
| მოთხოვნები ბანკების მიმართ | 79,221 | 68,940 |
| კლიენტებზე გაცემული სესხები | 396,297 | 262,148 |
| გასაყიდად არსებული ინვესტიციები | 60 | 391 |
| დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები | 5,946 | - |
| სხვა ფინანსური აქტივები | 851 | 2,747 |
| გაცემული გარანტიები და მსგავსი პირობითი ვალდებულებები | 23,282 | 16,251 |
| გამოუყენებელი სასესხო ვალდებულებები | 8,579 | 4,614 |

*გარე-საბალანსო რისკი*

გარე-საბალანსო რისკების სამართავად ჯგუფი ძირითადად იყენებს რისკის მართვის იმავე პოლიტიკას რითაც სარგებლობს საბალანსო რისკების მართვისას. რას შეეხება სესხის გაცემისა და კლიენტებისა და კონტრაგენტების ვალდებულებებს ჯგუფი იყენებს იმავე საკრედიტო მართვის პოლიტიკას რითაც სარგებლობს სესხებისა და ავანსების შემთხვევაში. მოთხოვნილი უზრუნველყოფა დამოკიდებული იქნება კონტრაგენტის სიძლიერესა და გარიგების სპეციფიკაზე.

*გეოგრაფიული კონცენტრაცია*

აქტივების და ვალდებულებების მართვის კომიტეტი აკონტროლებს ჯგუფის საქმიანობის შესაბამისობას კანონმდებლობის და რეგულირების მოთხოვნების მიმართ და მათ გავლენას ჯგუფის საქმიანობაზე. ეს მეთოდი საშუალებას აძლევს ჯგუფს მინიმუმამდე დაიყვანოს საქართველოში არსებული საინვესტიციო გარემოს ცვლილებებთან დაკავშირებული შესაძლებელი დანაკარგები.

აქტივების და ვალდებულებების გეოგრაფიული კონცენტრაცია წარმოდგენილია ქვემოთ:

| | საქართველო | სხვა არა ეგთო-ს ქვეყნები | ეგთო-ს ქვეყნები | დეკემბერი 31, 2013 სულ |
|---|---|---|---|---|
| **ფინანსური აქტივები** | | | | |
| ფული და ნაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკში | 37,786 | - | - | 37,786 |
| მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები | - | - | 23,785 | 23,785 |
| მოთხოვნები ბანკების მიმართ | 41,691 | 21,950 | 15,580 | 79,221 |
| კლიენტებზე გაცემული სესხები | 395,789 | 89 | 419 | 396,297 |
| გასაყიდად არსებული ინვესტიციები | 60 | - | - | 60 |
| დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები | 5,946 | - | - | 5,946 |
| სხვა ფინანსური აქტივები | 851 | - | - | 851 |
| **სულ ფინანსური აქტივები** | 482,123 | 22,039 | 39,784 | 543,946 |
| **ფინანსური ვალდებულებები** | | | | |
| ვალდებულებები ბანკების მიმართ | 29,702 | 4 | 2,550 | 32,256 |
| კლიენტების ანგარიშები | 172,222 | 1,401 | 3,163 | 176,786 |
| სხვა ფინანსური ვალდებულებები | 18 | - | - | 18 |
| სუბორდინირებული სესხი | 100,976 | - | - | 100,976 |
| **სულ ფინანსური ვალდებულებები** | 302,918 | 1,405 | 5,713 | 310,036 |
| **წმინდა პოზიცია** | 179,205 | 20,634 | 34,071 | |

| | საქართველო | სხვა არა ეგთო-ს ქვეყნები | ეგთო-ს ქვეყნები | დეკემბერი 31, 2012 სულ |
|---|---|---|---|---|
| **ფინანსური აქტივები** | | | | |
| ფული და ნაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკში | 16,690 | - | - | 16,690 |
| მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები | - | - | 10,845 | 10,845 |
| მოთხოვნები ბანკების მიმართ | 61,111 | 439 | 7,390 | 68,940 |
| კლიენტებზე გაცემული სესხები | 262,094 | 54 | - | 262,148 |
| გასაყიდად არსებული ინვესტიციები | 391 | - | - | 391 |
| სხვა ფინანსური აქტივები | 2,715 | 32 | | 2,747 |
| **სულ ფინანსური აქტივები** | 343,001 | 525 | 18,235 | 361,761 |
| **ფინანსური ვალდებულებები** | | | | |
| ვალდებულებები ბანკების მიმართ | 84 | 3 | 7,527 | 7,614 |
| კლიენტების ანგარიშები | 53,514 | 3,026 | 10,083 | 66,623 |
| სხვა ფინანსური ვალდებულებები | - | - | - | - |
| სხვა ნასესხები სახსრები | 40,040 | - | - | 40,040 |
| სუბორდინირებული სესხი | 120,013 | - | - | 120,013 |
| **სულ ფინანსური ვალდებულებები** | 213,651 | 3,029 | 17,610 | 234,290 |
| **წმინდა პოზიცია** | 129,350 | (2,504) | 625 | |

### უზრუნველყოფა

უზრუნველყოფის მოცულობა და სახეობა დამოკიდებულია კონტრაგენტის საკრედიტო რისკის შეფასებაზე. უზრუნველყოფის დაშვებული სახეობებისა და შეფასების პარამეტრები დგინდება მიღებული ინსტრუქციის შესაბამისად.

უზრუნველყოფის ძირითადი სახეობებია:

- კომერციული სესხების შემთხვევაში: გირაო უძრავ ქონებაზე, გარანტიები, სატრანსპორტო საშუალებები და მანქანა-დანადგარები;
- საცალო სესხების შემთხვევაში: გირაო საცხოვრებელ უძრავ ქონებაზე, გარანტიები, სატრანსპორტო საშუალებები და მანქანა-დანადგარები.

წლის განმავლობაში ჯგუფმა დაისაკუთრა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშის თარიღის მდგომარეობით 8,890 ათას ლარის საბალანსო ღირებულების ქონება, რომელსაც ჯგუფი ამჟამად ყიდის.

გაუფასურების დანაკარგების რეზერვის საკმარისობის შემოწმებისას ხელმძღვანელობა ახორციელებს უზრუნველყოფის საბაზრო ღირებულების მონიტორინგს, საბაზისო შეთანხმების შესაბამისად ითხოვს დამატებით უზრუნველყოფას და აგრეთვე აკვირდება უკვე მიღებული უზრუნველყოფის საბაზრო ღირებულებას.

*საკრედიტო ხარისხი ფინანსური აქტივების ტიპის მიხედვით*

დეკემბერი 31, 2013:

| | არც ვადაგადა-ცილებული და არც ინდივიდუ-ალურად გაუფასურებული | ვადაგადა-ცილებული მაგრამ ინდივიდუ-ალურად არ გაუფასუ-რებული | ინდივიდუ-ალურად გაუფასუ-რებული | (გაუფასუ-რების რეზერვი) | სულ |
|---|---|---|---|---|---|
| ნაშთები ეროვნულ ბანკში | 25,127 | - | - | - | 25,127 |
| მოთხოვნები ბანკების მიმართ | 79,221 | - | - | - | 79,221 |
| კლიენტებზე გაცემული სესხები | 275,655 | 5,720 | 150,357 | (35,435) | 396,297 |
| გასაყიდად არსებული ინვესტიციები | 60 | - | - | - | 60 |
| დაფარვამდე ფლობილი ინვესტიციები | 5,946 | - | - | - | 5,946 |
| სხვა ფინანსური აქტივები | 851 | - | - | - | 851 |

2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

| | არც ვადაგადა-ცილებული და არც ინდივიდუ-ალურად გაუფასურებული | ვადაგადა-ცილებული მაგრამ ინდივიდუ-ალურად არ გაუფასუ-რებული | ინდივიდუ-ალურად გაუფასუ-რებული | (გაუფასუ-რების რეზერვი) | სულ |
|---|---|---|---|---|---|
| ნაშთები ეროვნულ ბანკში | 4,310 | - | - | - | 4,310 |
| მოთხოვნები ბანკების მიმართ | 68,940 | - | - | - | 68,940 |
| კლიენტებზე გაცემული სესხები | 172,550 | 6,573 | 101,722 | (18,697) | 262,148 |
| გასაყიდად არსებული ინვესტიციები | 391 | - | - | - | 391 |
| სხვა ფინანსური აქტივები | 2,747 | - | - | - | 2,747 |

**საკრედიტო ხარისხი ფინანსური აქტივების კლასის მიხედვით**

ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება მიმდინარე საკრედიტო რეიტინგის მიხედვით, რომელიც გამოსცა საერთაშორისო სააგენტო "Fitch"-მა. უმაღლესი შეფასება არის AAA. საინვესტიციო ფინანსურ აქტივებს გააჩნიათ შეფასება AAA-დან BBB-მდე. ფინანსური აქტივები, რომელთა შეფასება BBB-ზე ნაკლებია კლასიფიცირდება, როგორც სპეკულატიური რეიტინგის მქონე.

2013 და 2012 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ნაშთებმა საქართველოს ეროვნულ ბანკში შესაბამისად შეადგინდა 25,127ათასი და 4,310 ათასი ლარი. საქართველოს საკრედიტო რეიტინგი საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების მიხედვით შეესაბამებოდა საინვესტიციო დონე BBB.

შემდეგი ცხრილი დეტალურად წარმოადგენს 2013 და 2012 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის ფინანსური აქტივების საკრედიტო რეიტინგს:

| | ააა | აა | ა | ბბბ | < ბბბ | შეუფასე-ბელი | სულ 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ფული და ნაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკში | - | - | - | - | 25,127 | - | 25,127 |
| მოგებასა და ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები | - | - | - | - | - | 23,785 | 23,785 |
| მოთხოვნები ბანკების მიმართ | - | 4,225 | 11,352 | 7,597 | 21,928 | 34,119 | 79,221 |
| კლიენტებზე გაცემული სესხები | - | - | - | - | - | 396,297 | 396,297 |
| გასაყიდად არსებული ინვესტიციები | - | - | - | - | - | 60 | 60 |
| დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები | - | - | - | - | 5,946 | - | 5,946 |
| სხვა ფინანსური აქტივები | - | - | - | - | - | 851 | 851 |

დეკემბერი 31, 2012:

| | ააა | აა | ა | ბბბ | < ბბბ | შეუფასე-ბელი | სულ 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ფული და ნაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკში | - | - | - | - | 4,310 | - | 4,310 |
| მოგებასა და ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები | - | - | - | - | - | 10,845 | 10,845 |
| მოთხოვნები ბანკების მიმართ | - | 5 | 7,235 | 374 | 57,046 | 4,280 | 68,940 |
| კლიენტებზე გაცემული სესხები | - | - | - | - | - | 262,148 | 262,148 |
| გასაყიდად არსებული ინვესტიციები | - | - | - | - | - | 391 | 391 |
| სხვა ფინანსური აქტივები | - | - | - | - | - | 2,747 | 2,747 |

კლიენტებზე გაცემული სესხებისგან განსხვავებული ფინანსური აქტივები რანჟირდება იმ მიმდინარე საკრედიტო რეიტინგის მიხედვით, რომელიც მათ მიენიჭათ საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოს (ფიტჩი, სტანდარდ & ფუარზი და მუდსი) მხრიდან.

ჯგუფი ახორციელებს მრავალ გარიგებას ისეთ კონტრაგენტებთან, რომელთაც საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოები რეიტინგს არ ანიჭებს. ასეთი კონტრაგენტების რეიტინგის შესაფასებლად ჯგუფს შემუშავებული აქვს შეფასების შიდა მოდელი.

საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების მიხედვით, საქართველოს საკრედიტო რეიტინგია საინვესტიციო დონე BB-.

ჯგუფში შემუშავებულია მსესხებლების საკრედიტო რეიტინგის დადგენის მეთოდოლოგია. სისტემა ეფუძნება მოდელს, რომლის მიხედვით მსესხებელს ქულები ენიჭება ძირითადი ფინანსური ინდიკატორების საფუძველზე, რომლებიც შეიძლება ექსპერტმა ოდნავ შეასწოროს საბაზისო მაჩვენებლის არასაკმარისი ობიექტურობის შემთხვევაში. მეთოდით მსესხებლის რეიტინგი დგინდება შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე: ბანკები - მსესხებლის საბაზრო მაჩვენებლები, გუდვილი, საკრედიტო ისტორია, ინფორმაციის გამჭვირვალობა, ინფორმაცია ბიზნესისა და საქმიანი გარემოს შესახებ, ურთიერთობა ჯგუფსა და მსესხებელს შორის, მსესხებლის ფინანსური მდგომარეობა, საქმიანობა და უზრუნველყოფა.

ყველაზე მნიშვნელოვანი კრიტერიუმებია ფინანსური მდგომარეობა და საქმიანობა. ამდენად, ქულების მინიჭების მოდელი აფასებს ზოგადად მსესხებელს და კონკრეტულად სესხს.

მსესხებლის პარამეტრებზე დაფუძნებული შეფასება სესხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ერთერთ ძირითად ფაქტორს წარმოადგენს.

ფიზიკური პირების შემთხვევაში, შეფასების მოდელი იყენებს შემდეგ კრიტერიუმებს: განათლება, საქმიანობა, ფინანსური მდგომარეობა, საკრედიტო ისტორია, მსესხებლის კუთვნილი ქონება.

**კლიენტებზე გაცემული სესხები შეცვლილი პირობებით**

კლიენტებზე გაცემული სესხების პირობების ხელახლა შეთანხმება ხდება ან კლიენტთან არსებული ურთიერთობის ფარგლებში ან მსესხებლის გარემოებების გაუარესების შედეგად. უკანასკნელ შემთხვევაში, პირობათა ხელახალი შეთანხმება შეიძლება გულისხმობდეს გადახდების ვადის ან გადახდების სქემის გახანგრძლივებას, რა დროსაც ბანკი ნამდვილად ცუდ მდგომარეობაში მყოფ სესხებს კონცესიურ საპროცენტო განაკვეთს სთავაზობს. ახალი პირობების შეთანხმების შედეგად, აქტივი კვლავად ვადაგადაცილებულად ითვლება და ინდივიდუალურად გაუფასურდება მაშინ, როდესაც ძირითადი თანხისა და პროცენტის ხელახლა შეთანხმებული გადახდები აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებას ვერ ამოიღებს. სხვა შემთხვევებში, ახალი შეთანხმება იწვევს ახალი ხელშეკრულების გაფორმებას, რაც ახალ სესხად ითვლება.

საბალანსო ღირებულება ხელახლა შეთანხმებული პირობების მქონე ფინანსური აქტივების კლასის მიხედვით:

ცხრილში მოცემულია შეცვლილი პირობების მქონე ფინანრუი აქტივების საბალანსო ღირებულება კლასების მიხედვით:

| ფინანსური აქტივის კლასი | დეკემბერი 31, 2013 | დეკემბერი 31, 2012 |
|---|---|---|
| კლიენტებზე გაცემული სესხები | 45,873 | 67,159 |

საბანკო სექტორი ექვემდებარება საკრედიტო რისკს კლიენტებზე გაცემულ სესხებსა და ბანკთაშორის დეპოზიტებთან მიმართებაში. კლიენტებზე გაცემულ სესხებთან მიმართებაში რისკების მოცულობა კონცენტრირდება საქართველოში. საკრედიტო რისკისადმი დაქვემდებარებას მონიტორინგი რეგულარულად უტარდება, რათა უზრუნველყოფილ იქნას ჯგუფის რისკის მართვის პოლიტიკით დადგენილი საკრედიტო ლიმიტებისა და კრედიტუნარიანობის მოთხოვნების დაცვა.

**ლიკვიდობის რისკი**

***ლიკვიდობის რისკის მართვა***

ლიკვიდობის რისკი ეხება დეპოზიტების გადინების და სხვა ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად საკმარისი სახსრების არსებობას, რომლებიც უკავშირდება ფინანსურ ინსტრუმენტებს მათი დაფარვის ვადის დადგომისას.

აქტივებისა და ვალდებულებების კომიტეტი აკონტროლებს ზემოთ აღნიშნულ რისკებს ვადიანობის ანალიზის საფუძველზე, რომელიც განსაზღვრავს ჯგუფის სტრატეგიას შემდგომი ფინანსური პერიოდისათვის. მიმდინარე ლიკვიდობის კონტროლი ხორციელდება სახაზინო დეპარტამენტის მიერ, რომლის ფუნქციაც არის ფულად ბაზრებზე გარიგებების დადება, მიმდინარე ლიკვიდობის შენარჩუნება და ფულადი ნაკადების ოპტიმიზაცია.

ლიკვიდობის რისკის სამართავად, ჯგუფი ახორციელებს კლიენტების და ჯგუფის ოპერაციებზე მომავალში მოსალოდნელი ფულადი ნაკადების ყოველდღიურ მონიტორინგს, რაც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს. დირექტორთა საბჭო აწესებს ლიმიტებს ხელმისაწვდომი სახსრების მინიმალურ

პროპორციაზე გასანაღდებელი დეპოზიტების უზრუნველსაყოფად და ბანკთაშორისი და სხვა სასესხო წყაროს მინიმალურ დონეზე, რომელიც აუცილებელია იმისათვის, რომ დაკმაყოფილდეს განაღდება მოთხოვნის მოულოდნელი წარმოქმნისას.

ლიკვიდობისა და საპროცენტო განაკვეთის ანალიზი:

(ა) ფინანსური ვალდებულებების დაფარვის პირობა, რომელიც იანგარიშება ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი სახსრების მოძრაობისთვის ადრეული თარიღით, როდესაც ჯგუფი ვალდებული იქნება დაფაროს ვალდებულება; და
(ბ) ფინანსური ვალდებულებების ვადიანობა, რომელიც დაანგარიშებულია არადისკონტირებული ფულადი სახსრების მოძრაობისას ფინანსურ ვალდებულებებზე ადრეული თარიღით, როდესაც ჯგუფმა უნდა გამოისყიდოს ვალდებულება, და
(გ) ფინანსური აქტივების დაფარვის პირობა, რომელიც იანგარიშება ფინანსურ აქტივებზე (პროცენტის ჩათვლით) არადისკონტირებული ფულადი სახსრების მოძრაობისთვის და რომელიც მიღებული იქნება აქტივებზე დაფარვის საკონტრაქტო პირობაზე დაყრდნობით, იმ შემთხვევების გამოკლებით, როდესაც ჯგუფი ვარაუდობს, რომ ფულადი სახსრების შემოდინება სხვა დროსაა მოსალოდნელი.

შემდეგ ცხრილში გაანალიზებულია ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ჯგუფების მიხედვით ლიკვიდობისა და საპროცენტო განაკვეთის რისკები. ქვემოთ მოცემული მონაცემები ეფუძნება ჯგუფის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას.

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)
*(ათასობით ლარში)*

| | 1 თვემდე | 1-დან 3 თვემდე | 3 თვიდან 1 წლამდე | 1-დან 5 წლამდე | 5 წელზე მეტი | 2013 წლის დეკემბერი 31, სულ |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ფინანსური აქტივები** | | | | | | |
| ნაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკში | 25,127 | | | | | 25,127 |
| მოთხოვნები ბანკების მიმართ | 40,617 | - | 515 | - | - | 41,132 |
| კლიენტებზე გაცემული სესხები | 43,982 | 8,300 | 83,284 | 175,008 | 85,723 | 396,297 |
| დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები | 998 | 2,982 | 1,966 | - | - | 5,946 |
| **სულ საპროცენტო შემოსავლის მქონე ფინანსური აქტივები** | **110,724** | **11,282** | **85,765** | **175,008** | **85,723** | **468,502** |
| ფული და ნაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკში | 12,659 | - | - | - | - | 12,659 |
| მოგებასა და ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები | 23,785 | - | - | - | - | 23,785 |
| მოთხოვნები ბანკების მიმართ | 28,503 | - | - | - | 9,586 | 38,089 |
| გასაყიდად არსებული ინვესტიციები | - | - | - | 60 | - | 60 |
| სხვა ფინანსური აქტივები | 213 | - | 540 | - | 98 | 851 |
| **სულ ფინანსური აქტივები** | **175,884** | **11,282** | **86,305** | **175,068** | **95,407** | **543,946** |
| **ფინანსური ვალდებულებები** | | | | | | |
| ვალდებულებები ბანკების მიმართ | 11,238 | 3,473 | 17,363 | - | - | 32,074 |
| კლიენტების ანგარიშები | 17,374 | 10,073 | 64,531 | 85 | 47 | 92,110 |
| სუბორდინირებული სესხი | 34 | - | - | - | 100,942 | 100,976 |
| **სულ საპროცენტო შემოსავლის მქონე ფინანსური ვალდებულებები** | **28,646** | **13,546** | **81,894** | **85** | **100,989** | **225,160** |
| ვალდებულებები ბანკების მიმართ | 182 | - | - | - | - | 182 |
| კლიენტების ანგარიშები | 57,615 | 11,599 | 12,312 | 1,674 | 1,476 | 84,676 |
| **სულ ფინანსური ვალდებულებები** | **86,443** | **25,145** | **94,206** | **1,759** | **102,465** | **310,018** |
| საპროცენტო განაკვეთის მგრძნობელობის დეფიციტი | 82,078 | (2,264) | 3,871 | 174,923 | (15,266) | |
| **საპროცენტო განაკვეთის ჯამური დეფიციტი** | **82,078** | **79,814** | **83,685** | **258,608** | **243,342** | |
| ლიკვიდობის დეფიციტი | 89,441 | (13,863) | (7,901) | 173,309 | (7,058) | |
| **ლიკვიდობის ჯამური დეფიციტი** | **89,441** | **75,578** | **67,677** | **240,986** | **233,928** | |

| | 1 თვემდე | 1-დან 3 თვემდე | 3 თვიდან 1 წლამდე | 1-დან 5 წლამდე | 5 წელზე მეტი | 2012 წლის დეკემბერი 31, სულ |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ფინანსური აქტივები** | | | | | | |
| ნაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკში | 6,798 | - | - | - | - | 6,798 |
| მოთხოვნები ბანკების მიმართ | 57,500 | 516 | - | - | - | 58,016 |
| კლიენტებზე გაცემული სესხები | 29,525 | 9,813 | 31,722 | 102,416 | 88,672 | 262,148 |
| **სულ საპროცენტო შემოსავლის მქონე ფინანსური აქტივები** | **93,823** | **10,329** | **31,722** | **102,416** | **88,672** | **326,962** |
| ფული და ნაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკში | 9,892 | - | - | - | - | 9,892 |
| მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები | 10,845 | - | - | - | - | 10,845 |
| მოთხოვნები ბანკების მიმართ | 4,628 | 6,296 | - | - | - | 10,924 |
| გასაყიდად არსებული ინვესტიციები | - | - | - | 391 | - | 391 |
| სხვა ფინანსური აქტივები | 2,641 | 4 | - | - | 102 | 2,747 |
| **სულ ფინანსური აქტივები** | **121,829** | **16,629** | **31,722** | **102,807** | **88,774** | **361,761** |
| **ფინანსური ვალდებულებები** | | | | | | |
| ვალდებულებები ბანკების მიმართ | 7,529 | - | - | - | - | 7,529 |
| კლიენტების ანგარიშები | 4,940 | 1,655 | 13,846 | 3,550 | 16 | 24,007 |
| სუბორდინირებული სესხი | 65 | - | - | 57,982 | 61,966 | 120,013 |
| სხვა ნასესხები სახსრები | 40 | - | - | 40,000 | - | 40,040 |
| **სულ საპროცენტო შემოსავლის მქონე ფინანსური ვალდებულებები** | **12,574** | **1,655** | **13,846** | **101,532** | **61,982** | **191,589** |
| ვალდებულებები ბანკების მიმართ | 85 | - | - | - | - | 85 |
| კლიანტების ანგარიშები | 39,324 | 39 | 729 | 2,524 | - | 42,616 |
| **სულ ფინანსური ვალდებულებები** | **51,983** | **1,694** | **14,575** | **104,056** | **61,982** | **234,290** |
| საპროცენტო განაკვეთის მგრძნობელობის დეფიციტი | 81,249 | 8,674 | 17,876 | 884 | 26,690 | |
| **საპროცენტო განაკვეთის ჯამური დეფიციტი** | **81,249** | **89,923** | **107,799** | **108,683** | **135,373** | |
| ლიკვიდობის დეფიციტი | 69,846 | 14,935 | 17,147 | (1,249) | 26,792 | |
| **ლიკვიდობის ჯამური დეფიციტი** | **69,846** | **84,781** | **101,928** | **100,679** | **127,471** | |

ლიკვიდობისა და საპროცენტო განაკვეთის რისკების ანალიზი წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში. ქვემოთ მოცემული მონაცემები ეფუძნება ჯგუფის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას. ამ ცხრილებში წარმოდგენილი თანხები არ შეესაბამება ანგარიშში წარმოდგენილ თანხებს, რადგან ქვემოთ წარმოდგენილი მონაცემები მოიცავს ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზს, რაც მიუთითებს კონტრაქტით გათვალისწინებულ დარჩენილ გადახდებზე (საპროცენტო განაკვეთის

ჩათვლით), რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით არ არის ასახული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშში.

| | საშუალო შეწონილი ეფექტური საპროცენ-ტო განაკვეთი | 1 თვემდე | 1-დან 3 თვემდე | 3 თვიდან 1 წლამდე | 1-დან 5 წლამდე | 5 წელზე მეტი | დეკემბერი 31, 2013 სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ფინანსური აქტივები** | | | | | | | |
| მოთხოვნები ბანკების მიმართ | 2.89% | 40,640 | 7 | 535 | - | - | 41,182 |
| კლიენტებზე გაცემული სესხები | 12.60% | 45,404 | 15,060 | 117,359 | 273,673 | 121,445 | 572,941 |
| დაფარვამდე ფლობილი ინვესტიციები | 3.94% | 1,000 | 3,007 | 1,993 | - | - | 6,000 |
| **სულ საპროცენტო შემოსავლის მქონე ფინანსური აქტივები** | | **87,044** | **18,074** | **119,887** | **273,673** | **121,445** | **620,123** |
| ფული და ნაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკში | | 12,659 | - | - | - | - | 37,785 |
| მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები | | 23,785 | - | - | - | - | 23,785 |
| მოთხოვნები ბანკების მიმართ | | 28,502 | - | - | - | 9,586 | 38,557 |
| გასაყიდად არსებული ინვესტიციები | | - | - | - | 60 | - | 60 |
| სხვა ფინანსური აქტივები | | 213 | - | 540 | - | 98 | 851 |
| **სულ ფინანსური აქტივები** | | **152,203** | **18,074** | **120,427** | **273,733** | **131,129** | **695,566** |
| **ფინანსური ვალდებულებები** | | | | | | | |
| ვალდებულებები ბანკების მიმართ | 5.60% | 11,411 | 3,728 | 18,148 | - | - | 33,287 |
| კლიენტების ანგარიშები | 5.92% | 17,365 | 10,281 | 67,023 | 108 | 71 | 94,848 |
| სუბორდინირებული სესხი | 2.92% | 137 | 763 | 2,747 | 14,595 | 141,700 | 159,942 |
| **სულ საპროცენტო შემოსავლის მქონე ფინანსური ვალდებულებები** | | **28,913** | **14,772** | **87,918** | **14,703** | **141,771** | **288,077** |
| ვალდებულებები ბანკების მიმართ | | 182 | - | - | - | - | 182 |
| კლიენტების ანგარიშები | | 57,615 | 10,566 | 16,461 | - | 39 | 84,6816 |
| **სულ ფინანსური ვალდებულებები** | | **86,710** | **25,338** | **104,379** | **14,703** | **141,810** | **372,940** |

| | საშუალო შეწონილი ეფექტური საპროცენ-ტო განაკვეთი | 1 თვემდე | 1-დან 3 თვემდე | 3 თვიდან 1 წლამდე | 1-დან 5 წლამდე | 5 წელზე მეტი | დეკემბერი 31, 2012 სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ფინანსური აქტივები** | | | | | | | |
| ნაშთები ეროვნულ ბანკში | 5.90% | 6,831 | - | - | - | - | 6,831 |
| მოთხოვნები ბანკების მიმართ | 3.98% | 57,691 | 525 | - | - | - | 58,216 |
| კლიენტებზე გაცემული სესხები | 12.54% | 29,834 | 10,121 | 34,374 | 153,788 | 203,898 | 432,015 |
| **სულ საპროცენტო შემოსავლის მქონე ფინანსური აქტივები** | | **94,356** | **10,373** | **34,647** | **153,788** | **203,898** | **497,062** |
| ფული და ნაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკში | | 9,892 | - | - | - | - | 9,892 |
| მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები | | 10,845 | - | - | - | - | 10,845 |
| მოთხოვნები ბანკების მიმართ | | 4,628 | 6,296 | - | - | - | 10,924 |
| გასაყიდად არსებული ინვესტიციები | | - | - | - | 391 | - | 391 |
| სხვა ფინანსური აქტივები | | 2,641 | 4 | - | - | 102 | 2,747 |
| **სულ ფინანსური აქტივები** | | **122,362** | **16,673** | **34,647** | **159,179** | **204,500** | **531,861** |
| **ფინანსური ვალდებულებები** | | | | | | | |
| ვალდებულებები ბანკების მიმართ | 6.41% | 7,529 | - | - | - | - | 7,529 |
| კლიენტების ანგარიშები | 7.64% | 4,972 | 1,687 | 14,551 | 4,635 | 26 | 25,871 |
| სუბორდინირებული სესხი | 3.59% | 66 | - | - | 66,308 | 110,171 | 176,545 |
| სხვა ნასესხები სახსრები | 3.00% | 40 | - | - | 44,800 | - | 44,840 |
| **სულ საპროცენტო შემოსავლის მქონე ფინანსური ვალდებულებები** | | **12,607** | **1,687** | **14,551** | **115,743** | **110,197** | **254,785** |
| ვალდებულებები ბანკების მიმართ | | 85 | - | - | - | - | 85 |
| კლიენტების ანგარიშები | | 39,324 | 39 | 729 | 2,524 | - | 42,616 |
| **სულ ფინანსური ვალდებულებები** | | **52,016** | **1,726** | **15,280** | **118,267** | **110,197** | **297,486** |

**საბაზრო რისკი**

საბაზრო რისკი მოიცავს საპროცენტო განაკვეთის რისკს, სავალუტო რისკს და ფასების დადგენის სხვა რისკებს, რომელსაც ექვემდებარება ჯგუფი. ცვლილებებს ადგილი არ ჰქონია ჯგუფის მიერ რისკების გამოთვლის მეთოდებსა და იმ რისკებში, რომლებსაც ის ექვემდებარება.

აქტივების და ვალდებულებების მართვის კომიტეტი აგრეთვე მართავს საპროცენტო განაკვეთსა და საბაზრო რისკებს ჯგუფის საპროცენტო განაკვეთის პოზიციის ადეკვატურობით, რომელიც უზრუნველყოფს ჯგუფის პოზიტიურ საპროცენტო მარჟას. ჯგუფის ხელმძღვანელობა აწარმოებს ჯგუფის მიმდინარე ფინანსური მდგომარეობის მონიტორინგს, აფასებს მის დამოკიდებულებას საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობის მიმართ და მის ზეგავლენას ჯგუფის მომგებიანობაზე.

*მგრძნობიარობა საპროცენტო განაკვეთის მიმართ*

საპროცენტო განაკვეთის რეალური ღირებულების რისკებს ჯგუფი მართავს პოტენციური დანაკარგების პერიოდული შეფასებით, რომელიც შესაძლებელია წარმოიშვას ბაზრის კონიუქტურის ნეგატიური ცვლილებების შედეგად. ჯგუფის ხელმძღვანელობა ახორციელებს ჯგუფის ფინანსური საქმიანობის მონიტორინგს, აფასებს ჯგუფის მგრძნობელობას საპროცენტო განაკვეთის რეალური ღირებულების ცვლილების მიმართ და მის გავლენას ჯგუფის მომგებიანობაზე.

შემდეგი ცხრილი წარმოადგენს საპროცენტო განაკვეთის რისკის მგრძნობიარობის ანალიზს, რომელიც განისაზღვრა „რისკის ცვალებადობის შესაძლო მისაღებ ცვლილებებზე" დაყრდნობით. ამ ცვლილებების დონე განისაზღვრება ხელმძღვანელობის მიერ და გათვალისწინებულია რისკების ანგარიშებით, რომლებსაც ჯგუფის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობას წარუდგენენ.

გავლენა მოგებაზე გადასახადის გადახდამდე აქტივების ღირებულებაზე დაყრდნობით 2013 და 2012 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს:

| | **დეკემბერი 31, 2013** | | **დეკემბერი 31, 2012** | |
|---|---|---|---|---|
| | **საპროცენტო განაკვეთი +2%** | **საპროცენტო განაკვეთი -2%** | **საპროცენტო განაკვეთი +2%** | **საპროცენტო განაკვეთი -2%** |
| **ფინანსური აქტივები:** | | | | |
| მოთხოვნები ბანკების მიმართ | 823 | (823) | 1,160 | (1,160) |
| კლიენტებზე გაცემული სესხები | 7,926 | (7,926) | 5,243 | (5,243) |
| დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები | 119 | (119) | - | - |
| **ფინანსური ვალდებულებები:** | | | | |
| ვალდებულებები ბანკების მიმართ | (641) | 641 | (151) | 151 |
| კლიენტების ანგარიშები | (1,842) | 1,842 | (480) | 480 |
| სუბორდინირებული სესხი | (2,020) | 2,020 | (2,400) | 2,400 |
| **წმინდა გავლენა მოგებაზე გადასახადის გადახდამდე** | **4,365** | **(4,365)** | **3,372** | **(3,372)** |

გავლენა კაპიტალზე:

| | დეკემბერი 31, 2013 | | დეკემბერი 31, 2012 | |
|---|---|---|---|---|
| | საპროცენტო განაკვეთი +2% | საპროცენტო განაკვეთი -2% | საპროცენტო განაკვეთი +2% | საპროცენტო განაკვეთი -2% |
| **ფინანსური აქტივები:** | | | | |
| მოთხოვნები ბანკების მიმართ | 699 | (699) | 986 | (986) |
| კლიენტებზე გაცემული სესხები | 6,737 | (6,737) | 4,457 | (4,457) |
| დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები | 101 | (101) | - | - |
| **ფინანსური ვალდებულებები:** | | | | |
| ვალდებულებები ბანკების მიმართ | (545) | 545 | (128) | 128 |
| კლიენტების ანგარიშები | (1,566) | 1,566 | (408) | 408 |
| სუბორდინირებული სესხი | (1,717) | 1,717 | (2,040) | 2,040 |
| **წმინდა გავლენა კაპიტალზე** | **3,709** | **(3,709)** | **2,867** | **(2,867)** |

*სავალუტო რისკი*

სავალუტო რისკი განიმარტება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შეიცვლება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობასთან ერთად. ჯგუფი ექვემდებარება ძირითადი უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსების რყევის გავლენას მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე.

აქტივების და ვალდებულებების მართვის კომიტეტი სავალუტო რისკს აკონტროლებს ლარის გაუფასურების და სხვა მაკროეკონომიკური ინდიკატორების დადგენილი საფუძვლების ღია სავალუტო პოზიციის მართვით, რაც ჯგუფს აძლევს საშუალებას მინიმუმამდე დაიყვანოს ეროვნულ ვალუტასთან მიმართებაში სავალუტო კურსის ცვალებადობის შედეგად განცდილი დანაკარგები. საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით სახაზინო განყოფილება ახორციელებს ჯგუფის ღია სავალუტო პოზიციის ყოველდღიურ მონიტორინგს.

| | ლარი | აშშ დოლარი 1 აშშ დოლარი = 1.7363ლარი | ევრო 1 ევრო = 2.3891ლარი | სხვა ვალუტა | დეკემბერი 31, 2013 Total |
|---|---|---|---|---|---|
| **ფინანსური აქტივები** | | | | | |
| ფული და ნაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკში | 12,532 | 18,647 | 6,441 | 166 | 37,786 |
| მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები | - | 23,590 | - | 195 | 23,785 |
| მოთხოვნები ბანკების მიმართ | 41,616 | 27,379 | 10,160 | 66 | 79,221 |
| კლიენტებზე გაცემული სესხები | 146,611 | 245,562 | 4,124 | - | 396,297 |
| გასაყიდად არსებული ინვესტიციები | 60 | - | - | - | 60 |
| დაფარვამდე ფლობილი ინვესტიციები | 5,946 | - | - | - | 5,946 |
| სხვა ფინანსური აქტივები | 764 | 26 | 61 | - | 851 |
| **სულ ფინანსური აქტივები** | **207,529** | **315,204** | **20,786** | **427** | **543,946** |
| **ფინანსური ვალდებულებები** | | | | | |
| ვალდებულებები ბანკების მიმართ | 1 | 32,255 | - | - | 32,256 |
| კლიენტების ანგარიშები | 46,261 | 104,891 | 25,179 | 455 | 176,786 |
| სხვა ფინანსური ვალდებულებები | 18 | - | - | - | 18 |
| სუბორდინირებული სესხი | - | 100,976 | - | - | 100,976 |
| **სულ ფინანსური ვალდებულებები** | **46,280** | **238,122** | **25,179** | **455** | **310,036** |
| **ღია საბალანსო პოზიცია** | **161,249** | **77,082** | **(4,393)** | **(28)** | |

| | ლარი | აშშ დოლარი 1 აშშ დოლარი = 1.6567ლარი | ევრო 1 ევრო = 2.1825ლარი | სხვა ვალუტა | დეკემბერი 31, 2012 Total |
|---|---|---|---|---|---|
| **ფინანსური აქტივები** | | | | | |
| ფული და ნაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკში | 6,441 | 8,269 | 1,690 | 290 | 16,690 |
| მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები | - | 10,686 | - | 159 | 10,845 |
| მოთხოვნები ბანკების მიმართ | 61,112 | 7,484 | 123 | 221 | 68,940 |
| კლიენტებზე გაცემული სესხები | 90,988 | 165,967 | 5,193 | - | 262,148 |
| გასაყიდად არსებული ინვესტიციები | 391 | - | - | - | 391 |
| სხვა ფინანსური აქტივები | 2,561 | 98 | 88 | - | 2,747 |
| **სულ ფინანსური აქტივები** | 161,493 | 192,504 | 7,253 | 511 | 361,761 |
| **ფინანსური ვალდებულებები** | | | | | |
| ვალდებულებები ბანკების მიმართ | 54 | 7,560 | - | - | 7,614 |
| კლიენტების ანგარიშები | 27,327 | 6,411 | 32,743 | 142 | 66,623 |
| სხვა ფინანსური ვალდებულებები | - | - | - | - | - |
| სუბორდინირებული სესხი | - | 120,013 | - | - | 120,013 |
| **სულ ფინანსური ვალდებულებები** | 27,381 | 133,984 | 32,743 | 142 | 194,250 |
| **ღია საბალანსო პოზიცია** | 134,112 | 58,520 | (25,490) | 369 | |

*მგრძნობიარობა სავალუტო რისკის მიმართ*

შემდეგი ცხრილი დეტალურად წარმოადგენს ჯგუფის მგრძნობიარობას 5%-იან ზრდასა და შემცირებაზე აშშ დოლარის ლართან მიმართებაში. 5% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობისათვის უცხოური ვალუტის რისკზე ანგარიშის წარდგენისას და წარმოადგენს ხელმძღვანელობის მიერ უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების შეფასებას. მგრძნობიარობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ არსებული უცხოური ვალუტის დენომინირებულ ფულად ერთეულს და აკორექტირებს მათ გაცვლით კურსს პერიოდის ბოლოს უცხოური ვალუტის განაკვეთის 5%-იანი ცვლილებით.

გავლენა წმინდა მოგებასა და კაპიტალზე აქტივების ღირებულებაზე დაყრდნობით 2013 და 2012 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს:

| | დეკემბერი 31, 2013 | | დეკემბერი 31, 2012 | |
|---|---|---|---|---|
| | ლარი/აშშ დოლარი +5% | ლარი/აშშ დოლარი -5% | ლარი/აშშ დოლარი +5% | ლარი/აშშ დოლარი -5% |
| გავლენა მოგებასა და ზარალზე გადასახადებამდე | 3,854 | (3,854) | 2,926 | (2,926) |
| გავლენა კაპიტალზე | 3,276 | (3,276) | 2,487 | (2,487) |

*მგრძნობიარობის ანალიზის შეზღუდვები*

ზემოთ მოცემული ცხრილი ახდენს ძირითად დაშვებებში ცვლილებების შედეგების დემონსტრირებას, ხოლო სხვა დაშვებები რჩება უცვლელი. რეალობაში არსებობს კორელაცია დაშვებებსა და სხვა ფაქტორებს შორის. ასევე უნდა გავითვალისწინოთ, რომ მგრძნობიარობა არ არის წრფივი და უფრო დიდი, ან პატარა გავლენა არ უნდა იქნას ინტერპოლირებული, ან ექსტრაპოლირებული ამ შედეგებიდან გამომდინარე. მგრნობიარობის ანალიზი არ ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ ჯგუფის აქტივები და ვალდებულებები საკმაოდ აქტიურად იმართება. ამასთან, ჯგუფის ფინანსური პოზიცია შეიძლება იცვლებოდეს იმ დროისათვის, როდესაც ფაქტიური საბაზრო მოძრაობები იჩენს თავს. მაგალითად ჯგუფის ფინანსური რისკის მართვის სტრატეგია მიზნად ისახავს საბაზრო რყევებისადმი დამოკიდებულების მართვას.

ვინაიდან საინვესტიციო ბაზარს ახასიათებს სხვადასხვა ცვლილებების დონე მართვის ქმედებებმა შესაძლოა მოიცვას ინვესტიციების გაყიდვა, საინვესტიციო პორტფელის გადანაწილების ცვლილებები და სხვა დაცვითი ღონისძიებების განხორციელება. ამის შედეგად დაშვებებში ცვლილებების ფაქტიურ გავლენას შეიძლება არ ქონდეს ზეგავლენა ვალდებულებებზე, მაშინ როდესაც აქტივები ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშში საბაზრო ღირებულებით აღირიცხებიან. ასეთ გარემოებებში აქტივებისა და ვალდებულებების განსხვავებულმა შეფასებამ შეიძლება მიგვიყვანოს აქციონერების კაპიტალის ცვალებადობასთან.

სხვა შეზღუდვები მგრძნობიარობის ანალიზში მოიცავს სავარაუდო საბაზრო მოძრაობების გამოყენებას პოტენციური რისკის დემონსტრირებისათვის, რომელიც წარმოადგენს ჯგუფის შეხედულებას ახლო მომავალში მოსალოდნელ საბაზრო ცვლილებებზე, რომელთა დარწმუნებით გათვალისწინება შეუძლებელია და მოსაზრებას, რომ ყველა საპროცენტო განაკვეთი ერთმანეთის მსგავსად იმოქმედებს.

**საფასო რისკი**

საფასო რისკი არის საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების მერყეობის რისკი, მიუხედავად იმისა, აღნიშნული ცვალებადობა გამოწვეულია კონკრეტული ფასიანი ქაღალდისთვის, ან მისი გამომშვებისთვის სპეციფიური ფაქტორებით, თუ ბაზარზე არსებულ ყველა ფასიანი ქაღალდზე მოქმედი ფაქტორებით. ჯგუფზე გავლენას ახდენს მისი პროდუქტების საფასო რისკი, რომელიც ექვემდებარება ძირითად და სპეციფიურ საბაზრო რყევებს.
ჯგუფი საფასო რისკს პოტენციური დანაკარგების პერიოდული შეფასებით მართავს. აღნიშნული დანაკარგები შესაძლებელია გამოიწვიოს საბაზრო პირობების გაუარესებამ და დანაკარგების შესაჩერებელი შესაბამისი ლიმიტებისა და მარჟების და უზრუნველყოფის მოთხოვნების დადგენამ და შენარჩუნებამ. გაუნაღდებელ სასესხო ვალდებულებებთან მიმართებაში ჯგუფი პოტენციურად ექვემდებარება ამგვარი ვალდებულებების მთლიანი ოდენობის დანაკარგს. თუმცა, დანაკარგის სავარაუდო ოდენობა ნაკლებია, ვინაიდან პირობითი ვალდებულებების უმეტესობა დამოკიდებულია საკრედიტო ხელშეკრულებების გარკვეულ პირობებზე.

**საოპერაციო რისკი**

საოპერაციო რისკი წარმოადგენს რისკს რომელიც წარმოიშობა სისტემის მოშლის, ადამიანური შეცდომის, თაღლითობის და გარე მოვლენების შედეგად. კონტროლის არ არსებობის შემთხვევაში საოპერაციო რისკმა შეიძლება გამოიწვიოს რეპუტაციის გაუარესება, იურიდიული სირთულეები და ფინანსური ზარალი. ჯგუფს ვერ შეამცირებს ყველა საოპერაციო რისკს, მაგრამ უნდა ეცადოს ამ რისკების მართვას უნდა ეცადოს კონტროლის გარემოსა და პოტენციური რისკების მონიტორინგისა და მათზე ადეკვატური რეაგირების საშუალებით. კონტროლი გულისხმობს მოვალეობების გადანაწილებას, წვდომის, ავტორიზაციისა და შედარების პროცედურებს, პერსონალის განათლებასა და პროცესების შეფასებას.

## 31. შემდგომი მოვლენები

ბანკმა კლიენტებისგან მოიპოვა დასტურები მომავალში შესაძლო თანხების გადახდასთან დაკავშირებით, ბანკის მმართველობა მიიჩნევს, რომ ჩატარებული ღონისძიების შედეგად შეძლებს 7,836 ათასი ლარის აღდგენას.